


619-1824



619  
19 91



მარტი  
№ 3 1991

# დროშა





გაგულო, საყვარელო!

# დროშა

№ 3, გერგინი, (411), 1991

## დამოუკიდებელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურულ-სამხატვრო ჟურნალი

### ზინაარსი:

ოთარ ჰინძლაძე. გაქცევა. ალექსანდრე ფადეევი. სიკვდილის წინ დაწერილი წერილი. რამ დავიდოვი. კურთხეულ იქნეს!..

გიორგი კაკუაშვილი. მიტანსნილი (მოთხრობა).

„კაიზერ ფრანცი“ ჟურნალისტების ალყაში.

გივი გამრეკელი. ფეხბურთის მოტრფილად დიდი ტენოვები. ართურ კონან დოილი. გვლელობა ები-გრეინჯუნი (მოთხრობა, დასასრული).

დამანა მდივნიშვილი. ზორს სამოგლობო ფიქრით.

ოთარ გვატაძე. კოჭლი კაცი (მოთხრობა).

თავარ გომართელი. თეთრი ბედი ცისფერ ტაზაზე.

გრიგოლ რობაქიძე. როცა ბალატორნა თავი მოიკლა.

ჯონ რენდელ გრეტი. ნაკვალევი (მოთხრობა).

გოდარდი ტალახაძე. უდანაშაულო დამნაშავე.

დამფუძნებლები: საქართველოს ჟურნალ-გაზეთების ჭაფიჭაფიჭობა „სამოგლობო“ და ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი.

© „დროშა“, 1991 წ.

მთავარი რედაქტორი  
ოთარ ჰინძლაძე

### სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პახუნიშვილი მდივანი). ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვატაძე, ნათელა გიორგოვანი, ოთარ დავითაშვილი, ვახტანგ მსვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

# საქართველოს რესპუბლიკის

## რ ე ფ ე რ ე ნ დ უ მ ი

თანახმა ხართ თუ არა, აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

### დიახ!



რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 90,79 პროცენტმა, მათგან 99,08 პროცენტმა დადებითად განცხადებას უხი სარეფერენდუმო ბიულეტენში დასმულ კითხვას.



# ბაქცევა

ოთარ ჰინძელაძე

● სიტყვა „გაქცევა“ გადატანილი მნიშვნელობით იგივეა, რაც უკუქცევა, უკანდახევა.

ახლა, როცა სათაური სათქმელს მოვარგე, აღარ გადავდებ და აქვე ვიტყვი, რომ ის, რაც ამ ბოლო ხანს ჩვენს თვალწინ ხდება, სხვა არაფერია, თუ არა გაქცევა, ესე იგი უკუქცევა. უკანდახევა იმ პოზიციებიდან, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლადარჩეულმა გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა დაიკავა 1985 წლის ჭერ მარტის და მერე კი, საეხებით გამოკვეთილად, აპრილის ღირსსახსოვარ დღეებში.

ეს ნამდვილად იყო ახალი გზის დასაწყისი და მისი დაუნახაობა, შეუფასებლობა, უგულვებელყოფა უმადურობა იქნებოდა. მე მაშინ მეგონა, რომ დეფორმირებული, გაუყუდმარტებული, უძრაობის მარწმუნებში მომწყვდეული ეკონომიკა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც საბოლოოდ „ყაზარმული სოციალიზმი“ აღმოჩნდა. მართლაც დაადგა არსებულის გარდაქმნის გზას.

გკითხვობდით და გვესმოდა ის, რასაც სწერდნენ, ამბობდნენ, გადმოსცემდნენ.

იყო საყოველთაო აღფრთოვანება, ერთსულოვანი მხარდაჭერა.

მაგრამ, არ დავფიქრებულვართ მაშინ იმაზე, რომ ასეთი აღფრთოვანება და მხარდაჭერა სულაც არ იყო ახლებური მიდგომის მათყუებელი, არამედ ისევე ძველი, ჩამოყალიბებული და გათავისებული რეაგირების ტრადიციული გამოვლენა. ესე იგი იყო, როგორც ეს მანამდეც ხდებოდა, საქმეში ჩაუხედავი მასების არდაყოვნებული აღფრთოვანება და მხარდაჭერა ყოველივე იმისა და იმის გამო, რაც „ზემოდან“ არის ბოძებული.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო რომ უთქვამთ, ამჭერადაც დადასტურდა.

კრიტიკული ანალიზი არა.

კრიტიკული შეფასება არა.

არაფერი კრიტიკული და არაეითარი დაფიქრება, განსჯა, გაოკვევა.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ მაშინ ერთბაშად იმდენი, მანამდე აკრძალული, უჩვეულო და იმედის მომცემი დახვავდა, კაცს რაიმის სერიოზული განსჯის თავიც კი არ ექნებოდა.

ასეც იყო.

მაგალითად, მაშინ და იმ ვითარებაში, არაგინ, და მათ შორის არც მე, დავფიქრებულვართ იმაზე, რომ შეუძლებელია მარქსისტულ-ლენინურ იდეებზე აშენებული საზოგადოების გარდაქმნა, ესე იგი მისი გამოსწორება. მით უფრო ისეთისა, რომელიც ჩვენსავე თვალწინ ხან იწოდებოდა, როგორც განვითარებული სოციალიზმი, ხან მომწიფებული, ხან კი რეალური და თურმე ყაზარმული ყოფილა. ხოლო, შეუძლებელია მისი გარდაქმნა იმიტომ, რომ თავად მარქსისტულ-ლენინური სოციალიზმის იდეასა და მიზანდასახულობაშია ჩადებული ყაზარმული სოციალიზმის პრაქტიკული შედეგი, მისი ნაყოფი.

ესე იგი ის ნაყოფი, რაც მივიღეთ, სადაც ვცხოვრობდით და როგორადაც ვცხოვრობთ.

მაგრამ, სათქმელი მაინც უნდა ითქვას.

გზის დასაწყისში პერესტროიკამ თავისი მაინც გააკეთა. იქაც და აქაც, ჩვენთან.

იქ: საბჭოთა ტანკებით დაუცველი ტოტალიტარული

კომუნისტური რეჟიმის თითქმის ერთდროული ნგრევა. ამ ნანგრევებში კომუნისტური ლიდერები მოპყვენ.

აქ, ჩვენთან: ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის მძლავრი აღმავლობა და ზოგან მრავალპარტიული არჩევნების შედეგად გამარჯვებული ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში მოსვლა, ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, სიტყვისა და სინდისის თავისუფლება... კერძოდ და სახელდობრ საქართველოში? სახელწოდების შეცვლა, ახალი გერბი, ახალი სახელმწიფო დროშა, ახალი ჰიმნი, პრინციპული ხასიათის ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში, ეროვნული გვარდია, რესპუბლიკური კანონმდებლობის უზენაესობა, გარდამავალი პერიოდის გამოცხადება...

კოტაა?

მე კარგად მახსოვს პერესტროიკის გზის დასაწყისი. მახსოვს თავისუფალი აზრის პირველი გაეღება მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში, რამაც დიდად შეუწყო ხელი ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული დოგმებისა და სტერეოტიპების რღვევას, ახლებური აზროვნების ჩამოყალიბებას და განვითარებადი მოვლენებისადმი ანალიტიკური დამოკიდებულების გამოქვეყნებას.

იქნებ ამის გამოც მოხდა, რომ ზოგიერთი რამ გზადაგზა და თანდათან საეჭვო გახდა, თვალში საცემი და მიუღებელიც. ეს პროცესი თავისებურად შემპარავ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ფაქტი მაინც სახეზე იყო.

საქმე ის არის, რომ ყურს ეჩოთირა და უსიამოდაც აყდერდა მანამდე ჩვეული გამოთქმები „რჩევა ვლადიმერ ლენინს ვკითხოთ და მას მოვეთათბიროთო“, ჩვენი „სოციალისტური არჩევანი“ ურყევია და ლენინური კურსით უნდა ვიაროთო“. ისიც, რომ დემოკრატია, კრიტიკის თავისუფლება და საერთოდ თავისუფლების ცნება „სოციალისტურ ჩარჩოებში“ აღმოჩნდა მოქცეული და ა. შ.

ერიპა!

კი მაგრამ, ამ ჩარჩოებში და ამ კურსით არ ვიცხოვრეთ მანამდე?

სწორედ მაშინ დადგა თვალების ფშვნეტიცა და გამოფხიზლების ეაფი.

აშკარად ცხადი ხდებოდა, რომ რეალურ სინამდვილეში, თავად არსებულ სისტემაში განახლებისა და ცვლილებებისაკენ ენერგიული მოწოდებების მიუხედავად, არსებითად არაფერი იცვლებოდა.

ერთი კაცი მოგვიწოდებდა. გაზაფხული კი მოსვლას აგვიანებდა.

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ პერესტროიკა სკკპ-მ დაიწყო.

არა, ბატონებო!

ეს რომ ნამდვილად ასე არ არის, ახლა უკვე ყველასათვის ცხადია და ნათელი.

სკკპ-ს არაფერი მსგავსი თავში არ მოსვლია და არც შეიძლება მოსვლოდა. იგი არასოდეს ყოფილა რაიმის წამომწყები, ინიციატორი. სკკპ მარტოდენ ამყოლი იყო, დამყოლი და გამყოლი. იმიტომ რომ, ყველაფერს და ყოველთვის იწყებდა სკკპ-ის სათავეში მდგომი და „ლიდერად“ წოდებული ერთადერთი კაცი.

ასეა ეს და თავს ნუ მოვიტყუებთ.

ამჭერადაც ამ ერთმა კაცმა წამოიწყო პერესტროიკა და სკკპ ამჭერადაც, როგორც ყოველთვის, აპყვა მას

საქართველოს  
საბჭოთავო  
საგარეო  
საზღვაო  
საზღაპარო



ერთსულოვანი აღფრთოვანებითა და მხარდაჭერით. აპყვა, დაპყვა და გაპყვა კიდევ.

მაგრამ, არავინ ელოდა იმას, ისეთსა და იმდენს, რაც ამ წამოწყებას მოჰყვა თან.

არც თავად წამომწყები, არც ამყოლი, არც დამყოლი და არც გამყოლი.

არავის უფიქრია მაშინ, 1985 წლის გაზაფხულზე, რომ საზოგადოების მიძინებულ დემოკრატიული ძალებს ერთბაშად გამოიღვიძებდნენ და ეკვის ქვეშ დააყენებდნენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლის, ადგილისა და მნიშვნელობის საკითხს. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ მრავალპარტიულობის პირობებში სკკპ-ს ავანგარდული ფუნქცია და მისი კონსტიტუციური დადასტურება მოიშლებოდა. და ან იმას ვინ წარმოიდგენდა, რომ თავად სსრ კავშირის ყოფნა-არყოფნის, ძალით შეკოწიწებული ამ არაბუნებრივი იმპერიის ნგრევის მოწმე და მონაწილე გავხდებოდით. მაგრამ ის, რასაც თავიდან არავინ ელოდა, მაინც მოხდა. და მიუხედავად ყოველივე ამისა, სსრ კავშირის პირველი პრეზიდენტი ვერა და ვერ შეეღია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტს. მე მგონი იმიტომ, რომ ვერ უღალატა მარქსიზმ-ლენინიზმის ნინა ანდრეევასეულ პრინციპებს, სოციალისტური არჩევანის ერთგული დარჩა და მოინდომა ცვლილებების ისე და იმგვარად გატარება, რომ არსებითად არაფერი შეეცვალა. ან იქნებ იმიტომაც, რომ არც თუ დავიწყებას მიცემული ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, ჭერ კიდევ და მაინც ეშინია სკკპ-ისა.

ამიტომ დამარცხდა, ჩემის აზრით, პერესტროიკა და მისი თავდაპირველი განაცხადიდან ხელში ფარატიხა ქალაღილა შემოგვრჩა.

სსრ კავშირის პრეზიდენტი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი კი გვაიმედებს, ნუ გეშინიათ — „არ იქნება არც დაბრუნება, არც გაჩერება“. და მიუხედავად ამისა, სწორედ ამ საკითხს, ამასთან არც თუ უსაფუძვლოდ მიუბრუნდა იგი მინსკში, თავის ბელორუსული მოგზაურობის დროს. მან სთქვა: „ახლა გვეკითხებიან, ხომ არ დავბრუნდით ჩვენ, ხომ არ უნდა მივბრუნდეთ უკან, 1985 წლისაქენ, ან იქნებ 1983 წლისაქენაც? მე შემთხვევით არ ვასახელებ ამ წლებს. მთელი ჩემი რწმენით, საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნებით თქვენს წინაშე, აგრეთვე ჩვენი ადამიანების წინაშე უნდა განვაცხადო: ყველაზე დიდი შეცდომა იქნებოდა დავბრუნებულეყავით უკან და ხელი აგველო ყველაფერზე, რაც ამ წლებში გავაკეთეთ“.

მართალია ეს, დიდი და გამოუწვორებელი შეცდომა იქნებოდა.

მაგრამ, ფიცი მწამს და ბოლო კი მაკვირვებს. იმას რა ვუყოთ, რასაც ვხედავთ, ვისმენთ და ვკითხულობთ?

ა, ბატონო! ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში დატრიალებული კიდევ ერთი ტრაგედია და მისი ფაქტობრივი გამართლება, რასაც თან თბილისის სისხლიანი 9 აპრილის გამო აღძრული გამოძიების უპრეცედენტო შეწყვეტა მოჰყვა. ესე იგი, ძალადობის ეს აქტიც გამართლებულია.

ახლა გადავხედოთ პრესას. გაზეთი „ლიტერატურნაია როსია“, № 6, 1991 წლის 8 თებერვალი. სტატია: „მხოლოდ ბრმას შეუძლია ეს არ დაინახოს“. ავტორი: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ევგენი კლიმჩუკი. იგი სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში ასწავლის.

ვკითხულობ ამ ვიპროფესორის ნაცოდვილარს და თვალებს არ ვუჭერებ.

აი, რას წერს ჩიგი: — „ამჟამინდელი დავიდარება „სახელმწიფო“ ენების, არამკვიდრი ეროვნების ხალხთა უფლებების შევიწროების, მშრომელთა ორგანიზაციების, ეროვნული (რესპუბლიკური) ნიშნებით დაყოფის ირგვლივ, არის არა მარტო ანტისახელმწიფოებრივი, არამედ აგრეთვე ანტილენინური საქმე, რევოლუციამდე ლენინი ერთა თანასწორუფლებიანობასა და მათი ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში თვითგამორკვევას იცავდა. რევოლუციის შემდეგ კი ლენინი საერთოდ არ ახსენებდა თვითგამორკვევას, რომ აღარაფერი ვთქვათ გამოყოფაზე. გაუფებარია თამაში სიტყვასთან „სუვერენიტეტი“ (სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტში „სუვერენული რესპუბლიკების კავშირის“ გამოცხადება). დროზე თუ არ აღგვეთეთ სეპარატიზმი, სუვერენიტეტმანიის თამაშობანა, იგი საბჭოთა კავშირს კრახამდე მიიყვანს. მხოლოდ ბრმას შეუძლია ეს არ დაინახოს“.

მეც მაგას ვამბობ, რომ ყველა ჩვენი უბედურება ლენინიდან იწყება და მხოლოდ ბრმას შეუძლია ეს არ დაინახოს. ანტილენინური ეროვნული ნიშნებით დაყოფა, ამაში ჩვენი ვაიისტორიკოსი მართალია და აი, რა ლენინური დასკვნა გამოაქვს მას აქედან: — „არსებობს იმის მიზეზი, რომ ყური ვათხოვოთ იმათ აზრს, ვინც წინადადებას გვაძლევს, რათა ქვეყნის ნაციონალურ-ტერიტორიული დაყოფიდან დაფუძრულად სუფთა ტერიტორიულს, გუბერნიებისა და მსხვილი ოლქების სისტემას“.

აი, ასე.

ამის შემდეგ, განა ვისმეს გაუკვირდება, თუ რატომ ვარ ანტილენინელი და არ ვიზიარებ მარქსიზმ-ლენინიზმის კომუნისტურ მოძღვრებას, რატომ არ ვაწერ ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებას და არც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მინდა დავრჩე, როგორც რუსი გუბერნატორის ხელქვეითი?

ვის ან რატომ უნდა გაუკვირდეს ეს? ვინც ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების განვითარებად პროცესებს აკვირდება, უმაღლესადაა შეამჩნევდა, რომ ხანმოკლე შესვენების შემდეგ, სკკპ კვლავ გამოცოცხლდა და წამაღუწუმ შეგვახსენებს წარსულიდან ჩვენთვის კარგად ცნობილ ტერმინოლოგიას. ვითომ სკკპ, სინამდვილეში კი ისევ ის ერთი კაცი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, წყვეტს დღესაც ყველაფერს და სულ ახლახან, თებერვალში, მინსკში ყოფნის დროს გვეუბნება:

— მე არსად, არც ერთ აუდიტორიაში არ მრცხვენია ვთქვა, რომ კომუნისტი ვარ და სოციალისტური იდეის მომხრე. ეს არჩევანი მე დიდი ხანია გავაკეთე და საბოლოოდ. ჩემთვის ეს საკითხი გადაწყვეტილია ერთხელ და სამუდამოდ. პრეზიდენტსაც სჭირდება პარტიის პოლტიკური მხარდაჭერა. კრიტიკა მისი მისამართით ვერ ცვლის როლს, რომელსაც იგი ასრულებდა და ასრულებს. მიუღებელია მტკიცებები, თითქოს პარტიამ, დახეთ, ამოსწურა საკუთარი თავი, დამნაშავეა ყველაფერში, არა.

როგორ თუ არა? აბა, ვინ არის დამნაშავე? და განა, ეს არ არის გაქცევა ჩვენი დღევანდელი რეალობიდან?

გაქცევა, ესე იგი უკუქცევა, უკან დახევა ისევ უტოპური მარქსიზმ-ლენინიზმის სათავეებისაქენ, რომლის ბოროტი ძალმომრეობის მჭერმეტყველი დასტურია



დღევანდელი გამათხოვრებული მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო.

კარლ მარქსი:

— ძველი საზოგადოების სისხლისმსმელი აგონიისა და ახალი საზოგადოების სისხლჩაღი ტანჯვის შემცირება, გამარტივება შესაძლებელია მხოლოდ ერთი საშუალებით — რევოლუციური ტერორიზმით.

ვლადიმერ ლენინი მარქსის გზას გააყვია. იგი ისეთივე ცნებებითა და კატეგორიებით აზროვნებდა, როგორც კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, რევოლუციური ტერორის ავტორი მარქსია, ხოლო ლენინი მისი განმანობრივებელი, სტალინიც, სხვებიც.

ვლადიმერ ლენინი:

— იმ კლასმა, რომელმაც ხელში აიღო პოლიტიკური ბატონობა, აიღო იმის შეგნებით, რომ მას ღებულობს ერთი. ეს შედის პროლეტარიატის დიქტატურის ცნებაში. ამ ცნებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ერთმა კლასმა იცის, რომ იგი ერთი ღებულობს თავის ხელში პოლიტიკურ ძალაუფლებას და არ ატყუებს არც თავის თავს და არც სხვებს ლათაიებით „საერთო სახალხო“, საერთო-საარჩევნო, მთელი ხალხის მიერ ნაკურთხი ხელისუფლებით. დიქტატურის მეცნიერული ცნება სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ისეთ ხელისუფლებას, რომელიც არ არის შეზღუდული არაფრით, არავითარი კანონით, აბსოლუტურად არავითარი წესით და უშუალოდ ემყარება ძალდატანებას. დიქტატურა ნიშნავს — მიიღეთ ეს ცნობად. ერთხელ და სამუდამოდ, ბატონო კადეტებო, — ძალაზე და არა კანონზე დამყარებულ შეუზღუდველ ძალაუფლებას.

კადეტებმა მიიღეს ეს ცნობად.

და, არა მარტო კადეტებმა.

ჩვენ ვიცით, თუ რა მოჰყვა ძალადობაზე დამყარებულ ამ უკანონობას. აქედან იღებს სათავეს ჩვენში გაბატონებული უკანონობა, ძალადობა, განუკითხაობა, რასაც ვითომ ვებრძვით და ისიც მარტოდენ სიტყვით, მაგრამ ყველაფერი ისევ ძველებურად რჩება. იმიტომ რომ, დღესდღეობით არ შეცვლილა სისტემა, რომელმაც ყოველთვის ეს შვა და დაამკვიდრა.

რალაის შეცვლას, გარდაქმნას და განახლებას ადრეც აპირებდნენ იქ, ზემოთ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

ასე მოხდა მაშინაც, როცა ნიკიტა ხრუშჩოვმა იოსებ სტალინი უარყო და ეგონა ყველაფერი კარგად წავიდოდა, რადგან იფიქრა, ვლადიმერ ლენინს დაუფბრუნდებით და მისი გზით ვივლითო. ამაში იგი იმდენად იყო დაჯერებული, ბალმირო ტოლიატის ნათქვამიც კი არ შეისმინა: საქმე პირადად სტალინიში კი არა, არამედ მთელ იმ სისტემაშია, რომელმაც ხეი შვაო.

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა.

მაშინაც უნდოდა.

ახლაც უნდა.

ყოველთვის უნდოდა, ყველგან და ყველა ვითარებაში.

ფუჭი და ამო გარჯაა ლენინიზმის რენესანსი.

ახლა მით უფრო, როცა ცხოვრებამ თავისი ისტორიული განაჩენი უკვე გამოიტანა.

ამ განაჩენის კულმინაციაა 1991 წლის 17 მარტი.

მანამდე კი მოვლენები, რომლებმაც ჩვენი ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უკლებლივ ყველა სფერო მოიცვეს, საბჭოურ „ძერჟავას“ უფსკრულისაკენ მიაქანებენ.

საოცარია პირდაპირ!

ერთი და იგივე ცენტრისმიერი ძალა, ერთი ხელით, ამ „დერჟავას“ შენარჩუნებას, მის განმტკიცებას ლა-

მობს, მეორეთი კი — თითქოს განგებ და შეგნებულად მისი დაშლისათვის მოქმედებს.

და მოქმედებს საკმაოდ ენერგიულადაც. ამავე დროს გაუაზრებლად;

აი, ვნახოთ.

მე არ მახსოვს სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება ან უზენაესი საბჭოს მიერ გამოცემული რაიმე საკანონმდებლო აქტი, რომელსაც თავისი წინააღმდეგობრივი, ანტიკონსტიტუციური და, მაშასადამე, კანონსაწინააღმდეგო ხასიათის გამო საყოველთაო აღშფოთება და პროტესტი, გაოცებაც კი არ გამოეწვიოს. იმიტომ არ სრულდება არც ერთი მთავანი და არის გაჩაღებული „კანონთა შორის ომი“.

უკანონო კანონი ებრძვის კანონიერს და პირიქით. თვით სამოკავშირეო ხელშეკრულების გამოქვეყნებული პროექტიც კანონსაწინააღმდეგო, არსებითად არაკონსტიტუციური და აბსურდულუ დოკუმენტია.

რომელი ჰქუათმყოფელი კაცი მოაწერს ხელს ასეთ დოკუმენტს?

თავად რუსეთი, დიდ რუსეთიც კი უარს ამბობს ასეთი ხელშეკრულების დადებაზე და მართალიცაა. თუნდაც იმიტომ, რომ იჭრ თავად რუსეთის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, კატასტროფას მოასწავებს.

ფიქრობ და ვერაფერი გამოგია იმათი, ვინც ამ ხელშეკრულებისა და სსრ კავშირის შენარჩუნებისათვის იკლავს თავს ჭის რად უნდა ისეთი კავშირი, რომელიც არავის არ უნდა? ან რა კავშირია ეს? განახლებული — გვეუბნებიან, მაგრამ არავინ ამბობს, თუ სახელდობრ რის განახლებას აპირებენ და რა მექანიზმების მეშვეობით. ხოლო იმიტომ არ ამბობენ, რომ არც არაფრის განახლებას ფიქრობს ვინმე და ბევრიც რომ იფიქროს, მაინც არაფერი გამოვა.

მე ეს ძალიან კარგად ვიცი და ვერც ვერავინ შემაცდენს.

მე რად მინდა ისეთი „კავშირი“, რომლის სათავეში მყოფი „ცენტრი“ ჩემს მიწაზე მოსულ ოსსა და თვითმარქვია აფნაზს ამიმხედრებს, თან იარაღს მიაწვდის და ეტყვის — ესროლეო. მერე აგრესორად ისევ მე მომნათლავს და გაკვირვებითაც იკითხავს: რატომ საკავშირო რეფერენდუმში არ მიიღე მონაწილეობა ან სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელს რატომ არ აწერო?

ცალკე ვერ იცხოვრებ, ერთად უნდა ვიყოთო.

კაცო, შენ მე თავი დამანებე და იმასაც ნახავ, თუ ვერ ვიცხოვრებ. ან ვინ გითხრა, რომ ცალკე და იზოლირებულ ცხოვრებას ვაპირებ? ვინ და სად ცხოვრობს ახლა ასე? არც მე ვიქნები იზოლირებული, განცალკევებული.

მე რად მინდა ისეთი „კავშირი“, რომლის სათავეში მყოფი „ცენტრი“ თავსმოხვეულ და ძალადობაზე დამყარებულ ისევ იმ ჭოჯობითურ „კავშირში“ მიპირებს მაცხოვროს.

გაქცევა, ესე იგი უაქცევა, უკან დახევა ყველგან და ყოველთვის ცალსახა შეფასებას იმსახურებს. მისი დამალვა ან დაუჩინაობა შეუძლებელია.

ეს საესებით დაადასტურა 1991 წლის 17 მარტს ჩატარებულმა და ბევრგან ფალსიფიცირებულმა რეფერენდუმმა: არ გამოვიდა ერთსულოვანი მხარდაჭერა, მონოლითური ერთიანობა. არც ის შედეგი მიიღეს ამ რეფერენდუმის ინიციატორებმა და ორგანიზატორებმა, რომელსაც მოელოდნენ, რისთვისაც იღწოდნენ.

იგი მაინც მოაწვევს და ასეული მილიონობით მანეთიც გაიღეს ისევ და ისევ დამშეულუ, უსახსრო და გადატყვევებული მოსახლეობის ხარჯზე.

გაქცევა წაქცევიდაც მთავრდება ხოლმე.



# „კომუნისტი“

## ანუ კომუნისტური პრესა

სსკპ ცკ-ას

● მე არ შემოძლია გავაგრძელო ჩემი ცხოვრება, ვინაიდან ხელშეწყობა, რომელსაც ჩემი ცხოვრება შეეწირე, დაღუპა და გაანადგურა პარტიის თვითდაჯერებულმა უფიცმა ხელმძღვანელობამ და ახლა აღარაფერი ეშვება, ლიტერატურის საუკეთესო კადრები — იმ რაოდენობით, მეფის სატრაპებსაც რომ არ დაესიზმრებოდა, ფიზიკურად მოსპეს და გაანადგურეს ამა ქვეყნის ძლიერთა დანაშაულებრივი მინებებით. სხვა დანარჩენებმა, ვისაც მეტნაკლებად ძალუდდა ჭეშმარიტად რაიმე ღირებულების შექმნა, 40-50 წელსაც ვერ მიაღწიეს.

ლიტერატურა, ეს წმიდათაწმიდა, ბიუროკრატებსა და ხალხის ყველაზე ჩამორჩენილ ელემენტებს მიუგდეს დასაფლეთად. ყველაზე მაღალ ტრიბუნიდან, როგორც იყო მოსკოვის კონფერენცია, ან პარტყრილობა, ვისმაც ახალი ლოზუნგი „ჰკა მაგათ!“ გზა, რომლითაც ცდილობენ მდგომარეობის გამოსწორებას, აღმაშფოთებელია: შეიყარა უფიცთა და უმეცართა ჭფუფი, გარდა რამდენიმე ასევე „ღვენილ“ პატროსანი კაცისა, რომელთაც სიმართლის თქმა ვერ გაუბედავთ, და მათ დასკვნებსაც უარესად ანტილენინურთ, რამეთუ ბიუროკრატულ ჩვევებისაგან მოდის, კვლავაც თან ახლავს „კეტი“ მუქარა.

არადა, თავისუფლებისა და სამყაროს შემეცნების რა გრძნობით შემოდიოდა ჩემი თაობა ლიტერატურაში, რა უსაზღვრო ძალას ვგრძნობდით სულში, რა დიდებულ ნაწარმოებებს ვქმნიდით და კვლავაც შეგვეძლო შეგვექმნა!

ლენინის სიკვდილის შემდეგ ჩვენ ყველა პატარა ბიჭებად გვაქციეს. გვანადგურებდნენ, იდეოლოგიურად გვაშინებდნენ და ამას „პარტიულობას“ ეძახდნენ. ახლა კი, როდესაც ყველაფრის გამოსწორება შეუძლებელია, თავი იჩინა პრიმიტიულობამ, უფიცობამ, აღმაშფოთებელ თვითდაჯერებასთან შეზავებულმა, იმ ხალხისა, ვის ხელთაც იყო ყოველივე ამის გამოსწორება. ლიტერატურა ხელში ჩაუგდეს უნიჭო, წვრილმან, ბოლშევიკ ადამიანებს. ერთეულები კი, სულში რომ ერთით წმინდა ციცხლი, პარიებად გადაქციულები, ასაკის გამო მალე წავლენ ამა ქვეყნიდან. და აღარც დაგვრჩა არავითარი სტიმული კვლავაც შევქმნათ კიდევ რაღაცა...

აღექსანდრე ფადეევი: „ახლგაზრდა გვარდია“.

ამ გახმაურებულ რომანზე აღიზარდა საბჭოთა ადამიანების თაობები, ხოლო ავტორმა თავი მოიკლა. ეს მოხდა 1968 წლის 18 მაისს, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი „მეფობდა“ და „ქვეყანაში საქმეები კარგად მიდიოდა“ (71). ამ დროს კი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები თავს იკლავდნენ, მათ სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ. ათავსებდნენ საეციალო უსიქიპატრიულ საავადმყოფოებში და საშობლოდან აძევებდნენ. ამ სამარცხვინო და დანაშაულებრივ „მოღვაწეობას“ წარმატებით განაგრძობდა ლენინი ბრენევიც. ახლა თავად განსაჯეთ, როგორი თანმიმდევრობით ახორციელებდა მსოფლიოში პირველი სოციალისტურ სახელმწიფოს სისტემა ინტელიგენციის დარბევის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას.

გთავაზობთ აღექსანდრე ფადეევის სიკვდილის წინ დაწერილ წერილს და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მასალას.

კომუნისტებისათვის, დიდი შემოქმედებისათვის დაბადებული, თექვსმეტი წლიდან პარტიასა, მუშებთან და გლეხებთან დაკავშირებული, არცთუ მცირე ნიჭით დაჯილდოებული, მე ზენა აზრებითა და გრძნობებით ვიყავი აღესილი, როგორც კი შეიძლება წარმოშვას კომუნისტების მშვენიერ იდეალებთან შეერთებულმა ხალხის ცხოვრებამ.

მაგრამ მე გადამაქციეს საპალნე ცხენად, მთელი ცხოვრება მათრევიანეს უნიჭო, გაუმათოლებელ, უთვალავ ბიუროკრატულ საქმეთა ტვირთი. ყოველ კაცს რომ შეეძლო ეკეთებინა. და ახლა, როდესაც მთელ ჩემს ცხოვრებას ვაჯამებ, თავზარს მცემს იმის მოგონება, თუ რამდენი დატუქსვა, ჰკუთის დარიგება დამტეხია თავს, რამდენ იდეოლოგიურ ნაკლში ვყოფილვარ მხილებული მე, ვისი ჭეშმარიტი და მოკრძალებული, შინაგანად ღრმა კომუნისტური ნიჭით შექმნილი ეამაყა ჩვენს შესანიშნავ ხალხს. ლიტერატურა, ახალი წყობის ეს დიადი ნაყოფი, დამცირებულია, დევნილია გატანჯული, დაღუპული. ლენინის მოძღვრების ნუგვორიშთა თვითკმაყოფილებამ, მაშინაც კი, როდესაც მის მოძღვრებას იფიცებენ, მათდამი სრული უნდობლობა აღმიძრა, რამეთუ იმათგან სატრაპ სტალინზე უარესია მოსალოდნელი. ის მაინც

განათლებული კაცი იყო, ესენი კი უმეცარნი და უფიცნი არიან.

ჩემმა ცხოვრებამ, როგორც მწერლისამ, დაჰკარგა ყოველგვარი აზრი. ისე რომ, დიდზე დიდი სიხარულით, ვით ხსნას ამ უგვანო არსებობიდან, სადაც თავს გატყდება უნამუსობა, სიცრუე და ცილისწამება. ვეგებები სიკვდილს და მივდივარ ამ ცხოვრებიდან.

უკანასკნელი ჩემი იმედი იყო, მეთქვა ეს ყველაფერი იმ ადამიანებისთვის, ვინც სახელმწიფოს გამგებლობენ, მაგრამ სამი წლის მანძილზე ჩემი ბევრგზის თხოვნის მიუხედავად, ჩემი მიღება ვერა და ვერ შესძლეს.

გთხოვთ დამასაფლაოთ ჩემი დედის გვერდით.  
13. V. 56.

ალ. ფადეევი.

გვიამბობს მწერლის ვაჟი  
მიხაილ ფადეევი:

● ბავშვობაში გული არ მქონდა კარგად და დიდხნობით ვიწექი ხოლმე სანატორიუმებში, მაგრამ 56 წლის გაზაფხულზე დროებით წამომიყვანეს სახლში და ეს დღეები, სამიოდე კვირა, მამასთან გავატარე პერედელკინოში. ცივი გაზაფხული იყო, თითქმის 13 მაისამდე ხევევში იდო თოვლი, ტყე ტიტველი, შეუფოთლავე...





12-ში მოსკოვში გავემგზავრეთ. მთელი დღე მამასთან გავატარე. მის კაბინეტში. რამდენადაც მახსოვს. მამასთან არავინ მოსულა.

სალამოს აგარაკზე წავიდით. უკვე გვიანი იყო. ასე ცხრა საათი. პერეკლელკინოს გუბურასთან მამა მანქანადან გადმოვიდა და ფეხით განაგრძო გზა. მე კი მძღოლმა სახლამდე მიმიყვანა. აქ ისევ ჩავუჭექი წიგნს და ვინემ არ დავამთავრე. არ დამიძინია, ჩვენ ზემოთ. მეორე სართულზე, დიდ ოთახში გვეძინა, რომელიც მამას კაბინეტიც იყო.

გვიან გამეღვიძა. მამა იქვე იყო, თუმცა მაინცდამაინც გარკვევით არ მახსოვს. მგონი, კარგად ვერ გამოიყურებოდა.

აგარაკზე ევგენია ფიოდოროვნა კნობიჩი დაგვხვდა. მამამ რომ დასვენიებლად აგარაკზე მოიპატიეთა. კიდევ შინაძომაძსახურე და დედაჩემის ბიძა. პიოტრ ვლადიმიროვიჩ პროსკურიაკინი, ანუ ძია პეტია. წიგნით ხელში იმ ოთახში მოვიკალათეთ. საძინებლის ქვემოთ რომ მდებარეობდა. ამ დროს მამაც ჩამოვიდა ქვემოთ და მითხრა: „არ წახვალ სასაირონო?“ გარეთ ცრიდა, თითქოს შემოდგომა ყოფილიყო. მე ვაგვიქდი. მამა აღარ ჩამცივებია და წავიდა. მგონი, თერთმეტის ნახევარი თუ თორმეტი იქნებოდა.

მერე გასროლის ხმა გავიგონეთ. დაბაში ხშირად ისროდნენ ხოლმე. სანადირო თოფიდან მეც ვიცოდი სროლა. მაგრამ ეს გასროლა იმ ხმას არ ჰგავდა. მე რომ მიჩვეული ვიყავ.

ორმოციოდე წუთის შემდეგ შინამოსამსახურემ მთხოვა, მამას დაუთხარე. მე მაშინვე არ დავთანხმდი. არა. ძალიან მკაცრად არ მზრდიდნენ, მაგრამ რა შეიძლებოდა და რა არა. ეს კარგად ვიცოდი. მამის საშუაოდან მოწყვეტა კი ჩვენთან არ შეიძლებოდა.

მამას კარს რომ მივუახლოვდი, იგი ნახევრად ღია დამხვდა. ამან გამამხნევა. შევედი და, ბალიშზე მამას სახეს რომ შევხედე, შემეშინდა. მივხვდი, ეს ცოცხალი კაცის სახე არ იყო. საწოლის ზურგი მიშლიდა კარგად დამენახა, ის მაღალი იყო, მე თერთმეტი წლის ბიჭი, პატარა. ორიოდე ნახიჩი რომ გადავდგი და საწოლის ზურგიდან გავიხვდე, დავინახე. მამას ხელი გადავდგო, რომელშიც დამბაჩა ეჭირა, გულზე კი სისხლის ლაქა აჩნდა. წერილი არ დამინახავს, იმ ოთახში მეტად აღარ შევსულვარ. ქვემოთ ყვირილით ჩამოვიბრძინე: „მამამ თავი მოიკლა!“

**სამი კოცა პარტიული წყალი**

ერთხელ, როდესაც, უკვე მერამდენეჭერ, არც ისე დამყოლი აღმოვჩნდი. ერთმა მაღალი თანამდებობის პარტიულმა მუშაკმა მითხრა: „შენი ბედი, დუდინცევ, რომ პარტიის წევრი არა ხარ, თორემ სამ კოცა პარტიულ წყალს გადაგასხამდით“. ალექსანდრ ფადეევის თვითმკვლელობაში პარტიულმა წყალმა თავისი როლი შეასრულა.

მე მინახავს ფადეევი, მომისმენია მისი გამოსვლები — იგი სასტიკი, მკაცრი ხელმძღვანელი იყო, ვისაც თავად შეედლო „პარტიული წყლის კოცები“ ესხა დამნაშავე მწერლების თავზე. იდეების ერთგული შვილი, ლენინის მოციქული, იგი ისეთი ლეგიონული შენადნობი გახლდათ, ვისშიც ზავდებოდა მარქსიზმზე აფუებული ლენინის იდეები და კომუნისტებისთვის საძულველი ინტელიგენტური სიღბო. პარტიის წევრობა მისთვის უდიდესი უბედურება აღმოჩნდა და ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. დიდად ნიჭიერი მწერალი, პროზის პოეტი — მე ვგრძნობ მის პოეტურ ინტონაციებს — იგი აღმერთებდა ლევ ტოლსტოის ინტელიგენტობას და უნებურად ბეძაგდა მას, თუმცა იდეური კომუნისტების პირობაზე ჭირვივით უნდა სძულებოდა. დიახ, ის ჩინებული მწერალი იყო, მაგრამ კომუნისტურმა იდეებმა ორთოდოქსალური და სასტიკი გახადა, რაც ადვილად შეიმჩნევა მის რომანში „განადგურება“ და მის გამოსვლებშიც. სხვადასხვა ტრიბუნიდან სუსტა მისამართით რომ წარმო-სთქვამდა:

მისი უბედურება იმაშიც გახლდათ, რომ იგი ოფიციალური საბჭოთა ლიტერატურის პირველ პირად დანიშნეს და ამაზე დათანხმდა. ჩვენი ბელადების მზერა ისე უბრალოდ არავისზე შეჩერებულა. მზერა — შემოჩვევი და შემფასებელი, მისკენ მიმართული, ვფიქრობ, სხვა მწერლებსაც უგრძნვიათ თავის თავზე. მე ვიცი რასაც ვამბობ, რადგან იგი ჩემზეც არაერთხელ შეჩერებულა. მაგრამ, რაც სხვებზე არ გაუძმართლდათ, ფადეევზე გამართლდა და აქ ვიმეორებ, შემთხვევითობის ელემენტი არ ყოფილა.

მე არაერთხელ გამომიცდია ჩემს თავზე ლიტერატურული და პარტიული მასაჟი. მაგრამ ჩემი ბედი, რომ კომუნისტი არ ვიყავი. ასეა თუ ისე, მე ფადეევი გულწრფელად მებრალებდა. მებრალებოდა მაშინაც, როცა თვითმკვლელობის შემდეგ სუსტი ნებისყოფის ადამიანად და ალკოჰოლის მსხვერპლად შერაცხეს,

და ახლაც, როცა მისი სიკვდილის წინ დაწერილი წერილი გამოაქვეყნეს. ეს დასტურია ჩემი ღრმა რწმენის, რომ ფადეევი იმ ადამიანებთან არ მეგობრობდა და არ თანამშრომლობდა. ვისთანაც უნდა ემეგობრა და ეთანამშრომლა. და არც იმით გაძყვა უკან. ვისაც უნდა გამოყოლოდა. მათ ისევე უღალატეს, როგორც ლალატობდნენ ყველა იმით, ვინც მათ ერწმუნებოდა და დიახაც სამსახურს გაუწევდა „კომუნისტის საქმის შენებაში“.

**პლ. დუდინცევი.**

**ზორს მეფეთაგანი**

ვასილ აყაევმა, ვისაც უპასუხისმგებლო ფანტაზიებს დიახაც ვერ შესწამებ. ერთხელ გამანდო ფადეევის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი წერილის ისტორია.

აყაევი იმ დროს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი გახლდათ. პერედელკინოდან რომ დაურეკეს ფადეევის ამბავი, დაუყოვნებლივ იქ გაემგზავრა. მისი თქმით, ნათესავებისა და მეზობლების გარდა, იგი ერთ-ერთი პირველთაგანი შევიდა იმ ოთახში. სადაც ფადეევმა მოიკლა თავი. ის ტახტზე ყოფილა მისვენებული. ტყვია შიგ გულში უსვრია.

მაგიდაზე დაუბეჭდავი კონვერტი იღო. ზედ ეწერა „სკკპ ცკ-ას“. აყაევმა იგი ჩიბეში ჩაიღო. ასე მითხრა, თავში არ მომსგვლია მისი წაკითხვა, თუმცა მერე ბევრი ვინანეო, რადგან წერილი როგორც მისთვის, ისე მისი თანამედროვეთათვის ცხრა-კლიტულში ჩაკეტილად აღმოჩნდა. აგარაკთან სამი შავი ვოლგა მოგრიალდა. ოთახში სუკის მაშინდელი უფროსი სეროვი შემოვიდა. მას მიცვალბულისკენ არც მიუხედავს.

— წერილი არის? — შეუღრინა აყაევს. აყაევმა წერილი მიაწოდა. სუკის უფროსმა გამოგლიჯა და თავის ამალიანად გარეთ გაიჭრა, უბედურ თვითმკვლელისაკენ არც ახლა გაუხედავს. მათ მხოლოდ წერილი აინტერესებდათ. რადგან გუმანიით გრძნობდნენ, ეს წერილი ფადეევს კი არა, იმ სისტემის კომპრ-მასალაა, რომელმაც დაასახიჩრა, რომელმაც მიიყვანა იგი თვითმკვლელობამდე.

მისი წერილი დიახაც გამაფრთხილებელი შეგონებაა იმაზე, თუ რაოდენ დამღუპველია ეშმას მსახურება, ვისაც ძალუძს, თუნდაც დროებით, თავი ღმერთად მოგაჩვენოს. „ზორს მეფეთაგანი“ — ფრიალ გონივრული და კეთილი რჩევაა.

**ვიკენი ევტუხენკო.**



# კურსულ იქნას!



## პირველი ქართველი ექიმი ქალები

რამ ღაბიძგივი

ეს უბრალო, ნაღდი ქართული სახეები იმდენ შუქს აფრქვევს, რომ შეიძლებოდა მათგან დაგვეხატა ლეთისმშობელი ყრმითურთ. ყოველ მათგანს განსაკუთრებული ბედი აქვს, მოქალაქეობრივი ვმირობის სიმალეზეც რომაა აყვანილი და არც სასოწარკვეთა და იმედის სითბო აკლია. ყველამ მძიმე შრომა გასწია ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად და რაოდენ დასანაია, ჯერჯერობით კარგად რომ ვერ ვიცნობთ.

... პირველი ქართველი ექიმი ქალი იყო პელაგია ნაცვლიშვილი. მან ციურისში დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი, იქვე დაიწყო საქმიანობა. ვინაიდან არ ჰქონდა ოჯახით საქართველოში დაბრუნების საშუალება.

ციურისში პელაგია ნაცვლიშვილთან მეგობრობდა გამოჩენილი ქიმიკოსი, პროფესორი ნ. მოროზოვი. თავის მოგონებებში იგი პელო ნაცვლიშვილს „ვარსკვლავთვლება გოგონას“ უწოდებს.

1901 წელს პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა უკვე მეორე ქართველი ექიმი ქალი მარიამ სიმონის ასული ბაქრაძე, ცნობილი ქართველი მწერლის შიო არაგვისპირელის მეუღლე. მარიამი ატარებდა ორ გვარს — ბაქრაძე-დედაბრძოლის, მაგრამ თითქმის ყველა „მარიამ დედაბერს“ ეძახდა.

დაობლებულმა ძნელი ცხოვრება გაიარა. ზრდიდა ბიძა. 1888 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა თბილისის ქალთა გიმნაზია და ოთხი წლის განმავლობაში მათემატიკას ასწავლიდა თბილისის გიმნაზიებში. მათე-

მატიკა და მუსიკა მის ცხოვრებაში საყვარელი საგნები იყო, მაგრამ მოგვიანებით მედიცინას მიანიჭა უპირატესობა.

1890 წელს, სხვა პროგრესულად განწყობილ ქართველებთან ერთად, იგი პარიზში მიემგზავრება, სადაც წარჩინებით აბარებს გამოცდას ეროვნული უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

1897 წელს ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები, ხოლო მომდევნო წელს მედიცინის დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ორ წელიწადს მუშაობდა პარიზში, ბავშვთა სნეულებების კლინიკაში, პროფესორებთან — მარფანთან და კომბისთან, ხოლო ექვს თვეს — პასტერის ინსტიტუტში, სადაც ცნობილი პროფესორი რუხელმძღვანელობდა.

„მარიამ დედაბერი“, რომელიც პარიზში მუშაობდა პასტერის სადგურში, ცნობილ ფრანგ ექიმებთან ერთად წარმატებით იყენებდა აცრებს ცოფისა და სხვა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ. მოექცა ლუი პასტერის მოძღვრების უდიდესი გავლენის ქვეშ. განსაკუთრებით გულდასმით შეისწავლა ქუნთრუშისა და ზუნაგის გამლიზიანებლები. არის ავტორი წიგნისა „ქუნთრუშის წინააღმდეგ ვაქცინაციის საკითხისათვის“.

თბილისის პირველი საქალაქო საავადმყოფოს საქესპლუათაციოდ გადაცემის პირველი დღეებიდანვე აქ მუშაობდა ინფექციური განყოფილების ორდინატორად, თავი გამოიჩინა როგორც დიდმა პედიატრმა და ინფექციონისტმა. 1907 წელს თბილისში გამოვიდა მისი წიგნი „ქუნთრუ-

შის საწინააღმდეგო აცრა გაბრიჩევსკის მეთოდით“.

მარიამ ბაქრაძე-დედაბრძოლის ინიციატივით საქართველოში ქუნთრუშის ვაქცინაციის სპეციალური დაწესებულება შეიქმნა. აქ განყოფილების გამგედ იმუშავა 1938 წლამდე. იგი აგრეთვე ინიციატორია ბავშვთა სპეციალური პავილიონ-კორპუსის შექმნისა. ეს ასსაწოლიანი კორპუსი გახდა მთელ საქართველოში ბავშვთა პირველი საავადმყოფოს ბაზა, სადაც მარიამ ბაქრაძე-დედაბრძოლიმ წარმატებით გამოიყენა დადამბლავებული ფეხის ორთოპედიული მკურნალობის მისებული მეთოდი. ეს მეთოდი, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის მრავალმა დიდმა მეცნიერმა „კლასიკურ მეთოდად“ აღიარა.

1938 წელს უკვე ცნობილი მეცნიერი ექიმი ქალი ინიშნება ბავშვთა საქალაქო ინფექციური საავადმყოფოს გამგედ, ამავე დროს მუშაობს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პირველ ქირურგიულ კლინიკაში და უსასყიდლოდ უწევს სამედიცინო დახმარებას მოსახლეობის ღარიბ ფენას.

„მარიამ დედაბერს“ ანგარიშს უწევდა არა მარტო საქართველოს, არამედ სამედიცინო სამყარო მის ფარგლებს გარედაც. მიწერა-მოწერა ჰქონდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ოდესის, ნოვოროსიისკისა და სხვა ქალაქების ექიმებთან. ახლო იდგა პარიზელ მეცნიერთა იმ ჯგუფთან, რომელიც ჩამოყალიბდა „რუსეთის უმაღლესი სკოლის“ ირგვლივ. ამ ჯგუფში შედიოდნენ აკა-

დემიკოსევი და პროფესორები: მ. კოვალოვსკი, მ. ვოლკოვი, ნ. ანიჩკოვი (ორმოციან წლებში სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი), ი. გამბაროვი და სხვები. მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოში ცნობილ მიკრობიოლოგსა და პათოლოგთან, აკადემიკოს ლევ ტარასევიჩთან. ტარასევიჩი მისი უნივერსიტეტის ამხანაგიც იყო.

მესამე ექიმმა ქალმა მარიამ კონსტანტინეს ასულმა იოსელიანმა 1902 წელს დაამთავრა პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტი. 1904 წელს საქართველოში დაბრუნდა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. ამ ინსტიტუტთან არსებულ სამედიცინო-საფერჯ შრომ კურსებზე კითხულობდა ლექციებს ანატომიაში, ფიზიოლოგიაში და ავადმყოფთა მოვლაში. 1910-1912 წლებში მარიამ იოსელიანი საფერჯლო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობას ასრულებს და მოსამსახურე ქალებისათვის ლექციებს კითხულობს სისხლდენისა და მშობიარობის შემდგომ ცხელების შესახებ. 1933-1935 წლებში სამედიცინო ინსტიტუტის უმცროს პერსონალთან ატარებს მეცადინეობას მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სხვადასხვა დროს, თითქმის სრულყოფილად. მარიამი იყო თბილისის ოლღას სახელობის საბავშვო ინსტიტუტის ორდინატორი, საფერჯლო სკოლის დირექტორი.

ჩვენი ვალია გვახსოვდეს პირველი ქართველი ექიმი ქალები. ხოლო მათდამი ჩვენი სიყვარული და პატივისცემა გადავცეთ შთამომავლობას.



● ეზოში. ჯგუფად დარგული ხეების ტევრში გამართულ მაგიდასთან, სამი კაცი იჯდა: ერთი შუახნის, ერთი ხანდაზმული და ერთი მოხუცე.

უსისტემოდ დარგული ხეები ზრდაში ერთმანეთს შესცილებოდნენ და ეზო ტევრს დამგვანებოდა. რალა არ დაურგავთ აქ: იფანი და ცაცხვი, ქაღარი და აკაცია, ლელვი და კაკალი, ჭერამი და თუთა, ქლიავი და ტყემალი, კანადურ ვერხეს ხომ სათვალავი არა აქვს. დადგება დრო და ერთმანეთს ამოსჭამენ. მაგრამ ჭერ-ჭერობით თითქოს ჰგუობენ და უმტკივნეულოდ იზრდებიან თუმცა, აგერ, ის ჭერმის ხე მეზობლის ტოტებქვეშ ისე წახრილა, მეზობელ ხეს თუ ტოტი არ შეაჭრეს, წელში ვერ აიშლება.

ამაზე ერთხელ კამათიც გაიმართა ეზოში. ნოე რომ არის, პირველ სადარბაზოში რომ ცხოვრობს, მაგრამ სოფელში მამაპაპულ მამულს არ ეშვება და ბალ-ვენახის მოვლის დიდი გამოცდილება აქვს, სწორედ იმ ნოემ წამოიწყო ეს კამათი:

— ამ ხეს ეს ერთი ტოტი შეეჭრათ, ჭერამი რომ წელში აიშალოსო, მაგრამ ორი მეზობელი თუ დაეთანხმა, სხვები უარზე დადგნენ, ერთმა თქვა, ტოტის შეჭრით ხე დაზარალდებაო, მეორემ — წალუნული ჭერმის ხე უფრო ლამაზი სანახავიაო, მესამემ კი, აი იმან, ვინც ეს ხე დარგო, ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა: ჩემს დარგულ ხეს წკირი რომ წკირია, ის შეატეხოს ვინმემ, სისხლს ზედ შევასხამო.

ბოლოს დაადგინეს, ყველა ნარგავი ხელუხლებლად დაეტოვებინათ და, რაც მოხდებოდა, ის მომხდარიყო.

მოსაუბრეთა წინ, სახლის კედელთან, სამანქანო გზა გადის. უკან პატარა ბილიკია. ვინც უფრო თავხედილია, მანქანით აქაც დადის. ასე რომ, ის ბილიკიც იძულებით სამანქანო გზად აქციეს. ამაზე ხშირად ბუზლუნებენ მეზობლები, მაგრამ ურჩება ბუზლუნს არ უშინდებიან.

აგერ ახლაც ვილაცის „კოლხოზნიკი“ გამოჩნდა ამ ნაბილიკარზე.

— ვინ არის ეს ოხერი, სწორ გზას ვერ ხედავს? — გაწყრა შუახნის კაცი, რომელიც თავის ახალგაზრდობაში თეატრში მუშაობდა, მასიურ სცენებში გამოდიოდა, სიმღერაც ეხერხებოდა, ცეკვაც, მაგრამ ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც მას უნდოდა და თვითმცლელ მანქანაზე მძღოლად დაიწყო მუშაობა.

— ლესტოა, არაფერი აწყენინოთ. — გააფრთხილა მოსაუბრეები



# კიზუკასნილი

გიორგი პაპუაშვილი

მოთხრობა

მოხუცმა კაცმა, რომელიც შარშანდლამდე სკოლაში ისტორიას ასწავლიდა, მეორე წელია, რაც ეზოში გამოსავლელად მოიცალა.

— ლესტო? ასეთ ვინმეს ვერ ვიცნობ, — გაიკვირვა შუახნის კაცმა.

— აჰ, ბოდიში, თქვენ მაგას ლევან სერგეევიჩად იცნობთ, მაგრამ ადრე, როცა მაგას ვასწავლიდი, ლესტო ერქვა, უფრო ადრე კი ლესტანბერი.

— ლესტანბერი რალაა?

— ლენინი, სტალინი და ბერია. როცა ბერია ხალხის მტრად გამოაცხადეს, ბერი ჩამოიშორა და ლესტო დარჩა. მერე სტალინიც დაგმეს და ლეოდ გადაიკეთა სახელი. აქედან კი ლევან სერგეევიჩი გახდა. ახლა რაკილა რუსებსაც შეუტეის, „იჩი“ არ გამაგონოთო, სულ ამას გაიძახის.

— ჩვენი ლესტოა კაცო? — იკითხა ხანდაზმულმა, რომელიც ადრე რაიონულ გაზეთში მუშაობდა. მაგ-

რამ ერთ ისეთ პიროვნებაზე დაწერა ფელეტონი, რომელსაც რაკიომის მდივანი დიდ პატივს ცემდა და რედაქციიდან გამოაპინტრიშეს. ახლა აქ, საღდაც, მშენებლობაზე, ღამის დარაჯად მუშაობს, ძალღებს უფლის და ეზოში ხანდახან დომინოს თამაშობს, თუ ჭადრაკის მოთამაშე ვერავინ იპოვა.

ლესტომ მანქანა შეაჩერა და მოსაუბრეებს მიესალმა. მერე მანქანიდან ჩამოვიდა.

შარვალზემოთ გაშიშვლებული იყო ლესტო, გულზეცა და ზურგზეც შავი, აქა-იქ შეჭალარავებული თმა ფარავდა.

— ბოდიში, რომ გახდილი ვარ. — ლესტომ გვერდითი საჯდომიდან პერანგი აიღო, ჩაცმის ნაცვლად მხარზე გადაიგდო და მაგიდას მიუახლოვდა.

— დაჭეი და გვითხარი, რა არის ახალი? — ჰკითხა ყოფილმა მასწავლებელმა და საპირისპირო სკამზე მიუთითა.



— ახალი ბევრია. — ვიწრო. წაქანებული შუბლიდან ლესტომ ხელისხურგით ოფლი მოიწმინდა და ძირდაწყული, გაშლილი ხალათი კვლავ მხარზე გადაიგდო: — „ფრონტში“ ვიყავი და ძალიან დავიღალე. — მერე იქაურობა მოათვალიერა და მზერა გაექცა ბადით შემოღობილი მანქანის სადგომისკენ, რომლის თავზეც ვაზის ხეივანი იყო და იზაბელას მტევნებს თითო-ორთა მარცვალი შესთვალდა. დააპირა, მისულოყო და ის ორიოდე მარცვალი გამოეკენკა, მაგრამ, რაკილა დაჭდომა კვლავ შესთავაზეს, თავპატიყის გაგრძელება აღარ ამჯობინა და მოსაუბრეთა საპირისპიროდ ჩამოჯდა.

— რუსეთი მოვიარე, — თავისი ყოფილი მასწავლებლის მისამართით განაგრძო ლესტომ. — ყველას ვეჯავრებით, ამისი დედა ვატირე. ქართველების გაგონება არავის უნდა.

— რატომ, ქართველებს ყოველთვის პატივისცემით გვექცეოდნენ?

— აბა, რა ვიცი. მეუბნებიან, რა გინდათ ჩვენგან, რატომ გვლანძღავთო. შოვინისტები ხართ-მეთქი, მეც ვუპასუხებ, ყელში ამოგვიხვედით და აღარ გვინდიხართ.

— მერედა, ვისი სახელით უთხარი, — ველარ მოითმინა ყოფილმა ყურნალისტმა, რომელიც არათუ რუსულ, უცხოურ ყურნალ-გაზეთებსაც სისტემატურად კითხულობს.

— ერის სახელით, — არხეინად უპასუხა ლესტომ და პერანგის შემოქნევით ბუზი მოიგერია.

— ხალხმა დაგავალა, ასე თქვიო?

— ხალხი ვინაა? ხალხი ბრბოა. არ იციან, კარგი რა არი და ავი რა. — ლესტომ პერანგი კვლავ მხარზე შეისწორა, მკერდი მოიქექა, ფეხზე წამოდგა და ისევ ხეივანისკენ გაეპარა თვალი. მიუახლოვდა და ფეხის წვერებზე აიწია, მხარი წაიგრძელა, შეთვალული მარცვლები გამოარჩია მტევნიდან.

— დაგინახოს ილიამ, — მწარე ღიმილით შენიშნა ყოფილმა მასწავლებელმა.

— ხალხი რად არის ბრბო? — იწყინა მძლოლმა, რაკი იფიქრა, ამ მაგიდასთან მხოლოდ მე მთვლისო ბრბოში.

— ყველანი ბრბოა, — ყურძნის კამითა და არხეინი ღიმილით განაგრძო ლესტომ. — თქვენც, ეგენიც, ისინიც, ვისაც პოზიცია არა აქვს და ფეხის ხმას მიჰყვება.

პოზიციის ხსენებაზე ყოფილმა მასწავლებელმა და ყოფილმა ყურნალისტმა ერთმანეთს შეხედეს. მიხედნენ, რომ ეს სიტყვა ამ დილას

ან გუშინ საღამოს გაეგონა ლესტოს და იმას იმეორებდა.

— შენ გაქვს პოზიცია? — ჰკითხა ყოფილმა მასწავლებელმა. რაკილა მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ავლადიდება კარგად იცოდა და არც ერთი ნათელი წერტილი არ ახსოვდა მისგან, არც ერთი გაკვეთილი ბოლომდე არასოდეს სცოდნია და არც ერთ შეკითხვაზე არ გაუცია სწორი პასუხი. ისიც კარგად იცოდა, მშობლებმა რატომ დააჩქვეს ლენსტალბერი, როგორი წვადავით მიადებინეს კომუნისტურ პარტიაში, რომლის ბილეთიც 9 აპრილს უმალ გადააგდო. აქაოდა მეც ნახირ-ნახირო, სადაც ამდენი ხალხი, მეც იქ ვიქნები და ეგებ სახეირო რამეს გავკარო კბილი. ორმოც წელს მიტანებულ კაცს ცოლის შერთვა ვერ მოუხერხებია და თავისივე მასწავლებლის დამრიგებლად გამოდის.

— რატომაც არა მაქვს? ჩვენ გავიმარჯვებთ. მაგათ დავამარცხებთ. რუსებს ჩამოვიშორებთ და სხვა ხალხსაც გავერეკავთ აქედან.

„აი, ვინ აფუჭებს ჩვენი ერის საქმეს“, უნდოდა, წამოეყვირა მასწავლებელს, მაგრამ თავი შეიკავა და მხოლოდ ამოიხრა:

— ეგ ვინ ვითხრა?

— ეინ უნდა მითხრას, მე ჩემი ჭკუა მაქვს. — ლესტომ ბანჯგვლიანი მკერდი მოიქექა და თვალი კვლავ გაკენილი მტევნისაკენ გააპარა: შეთვალული მარცვალი ხომ არ დამრჩაო. მერე ისევ სკამზე დაჭდომა ამჯობინა და ამოიხენეშა: — გუშინ ხომიანად დავთვევით... არა, ძმაო, მე ჩემს საქართველოს არავის დავნებებ. დედას ვუტირებ, ვინც წინ დამიდგება!

ყოფილმა ყურნალისტმა ამოიხრა:

— რა გგონია, შენ უფრო გიყვარს საქართველო თუ ჩვენ?

— რა თქმა უნდა, მე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე ვიბრძვი.

— როგორ იბრძვი?

— სერგო ორჯონიკიძის ძეგლი ჩვენ გამოვათრიეთ და ნაგავში ჩავაგდეთ.

— კარგად გიქნიათ, მაგრამ...

— როცა მიბრძანებენ, კაცს მაშინ მოვკლავ, — ლესტომ შეკითხვას ყურადღება არ მიაქცია, თვალების ბრიალით წამოხტა და გაშლილი პერანგი მაგიდას დააფერთხა. — მაჩვენეთ საქართველოს მტერი და ყველას დავხოცავ. თქვენ კი? თქვენ ვერ იზამთ ამას. მამებს ბევრი გაქვთ ნაჭამი და იმიტომ ვერ იზამთ!

— შენ მამებში ხარ თუ შვილებს

ეკუთვნი? — ღიმილით შენიშნა თვითმცლელის მძლოლმა, რომელიც ასაკით არსად წაუფილოდა ლესტოს, მაგრამ უკვე საქორწილო შვილები ჰყავს. — ვირს რქა არ ამოუვიდა და თავისი თავი პატარა ეგონაო.

— რაო, მე მეუბნები მაგას, მე, სახალხო ფრონტის წევრს. დღედაღამე რომ არ მიძინავს და ერთი მიტინგი რომ არ გამიცდენია?

— სახალხო ფრონტსაც და არაფორმალებსაც ბევრი შენისთანა ეტმანება. სწორედ ისინი სვრიან ქართველების სახელს, — ჩაურთო ყოფილმა ყურნალისტმა. ლესტომ მისი ნათქვამი ვერ გაიგონა, რაკილა მთელი ყურადღებით თვითმცლელის მძლოლის პასუხს ელოდა.

— დიახ, შენ გეუბნები, — მიუგო მძლოლმა. — თქვენ თვითონ შვილები არ გყავთ და ჩვენს შვილებსაც ასულელებთ, ვითომცდა თქვენს მშობლებს საქართველოს თავისუფლება არ უნდათ და მარტო ჩვენ გვინდაო.

— მართალია, შვილო, ჩაერია ყოფილი მასწავლებელი. — ვიყის გარდა, არც ერთი ქართველი არ იქნება საქართველოს თავისუფლების მოწინააღმდეგე და მალე გავთავისუფლდებით კიდეც, თუ ჭკუით მოვიქცევით. მაგრამ ბარიერებს ჩვენ თვითონ ვიქმნით, დაუტკვრით, თუ ასე არ არის, მცირეწლოვან ბალებს რომ ვაღლეებთ. მშობლებზე და სწავლაზე გულს ვუტრუებთ და გვგონია, დიდ საქმეს ვაკეთებთ, ისტორია არ გვაპატიებს. საქართველოს დამოუკიდებლობას უთუოდ მივაღწევთ, თუკი ყველა იმ საქმეს მოვაწესრიგებთ, რაც ჩვენ გვევალება. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, უგონო კაცის გარდა, რუსეთის გადამტერება აზრად არავის მოუვა.

— რუსეთის მონები ვართ და თქვენ ეს არ იცით, — გამწარდა ლესტო.

— მონები არ უნდა ვიყვნეთ არც რუსებისა და არც სხვა ერებისა. მეგობრობა კი... ყველა ერთან მეგობრობა გვმართებს, გონიერი კაცი მეგობარს ეძებს ცხოვრებაში და უგონო მტერს იმრავლებს.

— მონები ხართ და ნაბამი ძაღლის ფსიქოლოგია გაქვთ! — უფრო მეტად გამწარდა ლესტო და კვლავ პერანგი გააფრიალა ხელის დაქნევით. — მამებს ნაჭამი გაქვთ და იმიტომ არ მიჭერებთ. საქართველო ურუსეთოდ უფრო ძლიერი იყო.

— როდის, შვილო, მეთორმეტე საუკუნეში? — იკითხა მასწავლებელმა.



„კაიზერ ფრანც“ წოდებული ბავარული არაერთხელ მოკლულა ჟურნალისტების „აღმავლი“. მან არ იცის ინტარვიუს ამდებთა განწარმელება, უოველთვის უაღრანად თავაზიანი და კოკაბტულია. მავინაც კი, როცა თვით ჟურნალისტებიც კი არ არიან... კოკაბტურულნი დღენ ბვინდა გაბაცნოთ რამდენიმე ნაწავები ბავარული ვრცელი საუბრიდან, რომელიც ბერმანულ ჟურნალ „ზაროტნი“ გამოქვეყნდა.

# „კაიზერ ფრანცი“

## ჟურნალისტების კლუბი

თქვენ ჯანდონით სავსე და მდიდარი ბრძანდებით. თქვენი აპაიტალი ნი მილიონ ბარან უვიტავს.

მომიტევეთ, ერთი წუთით! საფეხბურთო სარბიელზე 26-წლიანი საქმიანობის განმავლობაში 30 მილიონი მარკა კი მივიღე, მაგრამ აქედან 10 პროცენტი თუ დამრჩა, თუმცა ესეც, რა თქმა უნდა, ჩემთვის სრულიად საკმარისია.

**ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გაღარიბდით?**

არა, რატომ. მაგრამ ჩემი სისტემატური შემოსავლის 50 პროცენტს ვხარჯავ კიდევ. ხომ იცით, კაცი რომ კარგ ცხოვრებას მიეჩვევა...

**გაქვთ თუ არა სუსტი მხარეები?**

ძალიან მოუთმენელი ვარ, ბევრს, გაუმართლებლად ბევრს ვეძებ. არ მინდა გავითვალისწინო, რომ ცხოვრება სულ უფრო სტაბილური ხდება. ვეძებ გზებს, რომ როგორმე დავმშვიდდე, უფრო გაწონასწორებული ბასიათი მქონდეს.

**თქვენ უამრავი გულშემატკივარი გაქვთ, მაგრამ ისინი გაპირბიკიანენ კიდევ; აქლავთ ამინ ნაბაბს?**

რა მოგახსენოთ. დღეში დაახლოებით 100 წერილს ვიღებ. ძალიანაც რომ მინდოდეს, ყველას ვერც წავიკითხავ, მაგრამ წერილებს გაცნობაში დედაჩემი მეხმარება.

**მაგრამ ზოგჯერ ასე ხომ არ ხდება: გულშემატკივარი დაგაჯიტიებით მოითხოვს, რომ მისი წერილი აუცილებლად წაიკითხოთ?**

ასე ხშირად ხდება, მაგრამ დედაჩემი ცდილობს, კრიტიკული წერილები არ წაშაქიფოს. მე ვფიქრობ, ასეთი სახის წერილებს იგი, უბრალოდ, ხევის.

**თქვენ 40 წელს გადაბაიჯეთ. ხომ არ გრძობთ ანაბს?**

ვგრძნობ, რომ თმები აშკარად შემითხელდა. ეს „პროცესი“ კარგა ხანია დაიწყო. ძალიან არ მინდა, მთლად გავმელოტდე.

**გაზინიანთ სიბერისა?**

არა, 45 წლისა ვარ და სწორედ ახლა ვგრძნობ თავს ნამდვილად ბედნიერად. მეტსაც გეტყვით, ასეთი ბედნიერი ხანა ჯერ არ მქონია (ბეკენბაუერი ეტყობა, გულისხმობს მესამედ ქორწინებას და შარშან ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებას). ამავე დროს, ვიმედოვნებ, რომ ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს.

**თქვენს ცხოვრებაში მავთავები დიდ როლს თამაშობენ?**

მეგობრებს ვის უწოდებთ?

**იმ ადამიანებს, რომელთა გარეშეც ძალიან ძნელია ცხოვრება.**

მყავს ისინი, მაგრამ ვცდილობ, მათზე დამოკიდებული არ ვიყო.

**თქვენ რა, არ ექვთ ანეთ ახლოვალ ადამიანებს?**

დედაჩემი და ჩემი ცოლი — აი ჩემთვის სრულიად აუცილებელი და მახლობელი ადამიანები.

**როგორ წიგნებს ახასიათებთ ყველაზე უფრო მებად?**

ასტროლოგიურ წიგნებს. მე მწამს, რომ ვარსკვლავები ადამიანების ბედზე მოქმედებენ. ჩემი ცხოვრების საკითხები ზეცაშია გადაწყვეტილი.

— მუდამაც უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ახლა ვართ, — კვლავ გაბრუნება დააპირა ლესტომ.

— ხელს თუ არ გავიქნევთ, არავინ გეცხოვრებს, შეილო. ჩვენი სიკეთისთვის არავინ გაირჩება და სხვისი იმედით ლოგინს ფართოდ ნუ გაწვლით, — მიუგო ყოფილმა მასწავლებელმა მანქანაში უკვე ცალფეხშედეგულ ლესტოს.

— ორმოცდაათ წელს გადაცილებული ბაღბისგან არაფერი გამოვა, არა, — ლესტომ უიმედოდ მოისროლა პერანგი გვერდით საჯდომზე და ერთხელ კიდევ შებრუნდა მაგიდისაკენ. — ბენზინის ასაღებად მივიდი-

ვარ, თორემ დაგიმტკიცებდით, რომ საქართველო მუდამაც ამაზე ძლიერი იყო, ვიდრე ახლაა.

— ბენზინზე დიდი რიგია და მაინც ვერ აიღებ, ჩამოდი და დავგიმტკიცე, — გაუღიმა მძღოლმა.

— ეგლა მაკლია, რიგში ჩავდგე, — მიუგო ლესტომ. მანქანა დაქოქა და ბლუილით დაძრა.

— იქნებ მართლა ძლიერები ვიყავით? — კარგა ხნის დუმილის შემდეგ თავისზე ხნიერი და განათლებული მეზობლების მისამართით იკითხა მძღოლმა.

მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. — აი, ის ჭადარი ბოლოს ყველა-

ფერს მოსპობს ამ ეზოში. — დუმილი დაარღვია ყოფილმა ჟურნალისტმა და ლექსიც მიაცოლა: „იას, ბნელ ხევეში მოსულსა, დიდი ჭანდარი ჰფარავდაო“.

— კარგი მებაღე ის არის, ვინც თავის ბაღში არც ერთ ხეს არ გაახმობს თავისი მიზეზით, — დაასკვნა ყოფილმა მასწავლებელმა და მცირედონი დაფიქრების შემდეგ დაუმატა: — ვერც გორბაჩოვმა ივარგა, ერები ერთმანეთს წაპკიდა და გადაამტერა, თუ მართლა გარდაქმნა უნდა, თვითონვე უნდა მინიჭოს ერებს თავისუფლება და არა ერთმანეთი ამოახოცვინოს.



# შეხვედრის მომხრეობა დიდი ტენორები



პიტერ დვორსკი, პაატა ბურჭულაძე, ლუჩანო პავაროტი.

მთელმა მსოფლიომ უდიდესი სიამოვნებით მოიხილა თანამედროვეობის სამი საუკეთესო ტენორის — ლუჩანო პავაროტის, ხოსე კარერასისა და პლაჩიდო დომინგოს ერთობლივი კონცერტი რომის „კარაკალას თერმებიდან“. ეს მოხდა შარშან ზაფხულში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინაღობით. სამივე გამოჩენილმა მომღერალმა აღნიშნა, რომ ამ კონცერტის გამართვის ერთადერთი მიზეზი იყო მათი ძველ-თაძველი სიყვარული ფეხბურთისადმი.

რა თქმა უნდა, ჩვენმა გულშემატკივრებმა ამის შესახებ ცოტა რამ თუ იციან. მოვუხსენიოთ თითონ მათ...

**ლუჩანო პავაროტი:** ყმაწვილი რომ ვიყავი, ფეხბურთის მწვრთნელმა კარში დამაყენა. მაღალი ხარ და დიდი ფიზიკური ძალაც გაქვს. თხუთმეტი წლისა უკვე ნახევარმცველი გახლდით. შემდეგ კი, ასე გასინჯეთ, ცენტრალური თავდასხმელიც. რა თქმა უნდა, საფეხბურთო კერპიც მყავდა — 50-იანი წლების დიდებული შვედი ცენტრფორვარდი გუნარ ნორდალი. გოლების გატანის დიდი ოსტატი. იგი ხომ „მილანში“ თამაშობდა. არაერთხელ მომეცა მისი ნახვის საშუალება. რაც შემეძლო, ვხაძავდი. შემდეგ შევეცადე პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდარიყავი. მოლაპარაკებას ვაწარმოებდი „მოდენასთან“, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ჩემი სპორტული კარიერა არ შედგა. ისე დაამარჩნოდა. ფეხბურთელი თუ არა, „პროფესიონალი

გულშემატკივარი“ მაინც გავხდარიყავი. იტალიის ნაკრებს ხშირად ვეწვევი ხოლმე. მათთვის ვასრულებ პოპულარულ არიას პუჩინის „ტურანდოტიდან“, რომელიც, შეიძლება ითქვას, იტალიის „სკუადრა აქრას“ („ციხეფერი გუნდის“) არაოფიციალური ჰიმნი გახდა.

პავაროტის ახლაც მყავს თავისი საყვარელი ფეხბურთელები. მისი აზრით, მარადონა (თუმცა მისი კარიერა დასასრულს უახლოვდება) ნამდვილი გენიოსია, ხოლო ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის უპირველეს ამოჩენად დიდ ტენორს ინგლისელი პოლ გასკინი მიაჩნია.

**აი, რა განაცხადა პლაჩიდო დომინგომ,** რომელიც დღესათვის პოპულარობით პავაროტის არ ჩამოუვარდება:

— ჩვენი ოჯახი მთლიანად ფეხბურთით იყო დაავადებული. ბიძაჩემი ინენასიო ისაგარე და მისი მამა მთელ ესპანეთში ცნობილი მეკარეები გახლდნენ. ათი წლისამ თამაში დავიწყე მექსიკაში — იმ წლებში იქ ვცხოვრობდით. ოჯახური ტრადიციების თანახმად მეც მეკარე გავხდი. მთელი შვიდი წლის მანძილზე ინტენსიურ წვრთნას გავდიოდი და ოფიციალურ მატჩებშიც ვმონაწილეობდი. სანამ მძიმედ არ დავშავდი. ერთხელ ასეთ ტელეგადაცემასაც კი ვმონაწილეობდი განთქმულ ავსტრიელ თავდასხმელ მანს კრანკლთან ერთად. იგი კარში მირტყამდა. მე კი მან საით გადავხტებოდი ხოლმე და ხან საით. ერთ მომენტში მთელი ძალით დაარტყა. მე ინსტინქტურად სახეზე ხელი დავიფარე. ის ხელი ახლაც მტკივა.

შემდეგ დომინგომ საქმის დიდი ცოდნით დაახასიათა თანამედროვეობის უძლიერესი ფეხბურთელები. დღესათვის უძლიერეს მეკარეებად მას სუბისარეტა (ესპანეთი), იგუიტა (კოლუმბია), პრიუდომი (ბელგია) და გოიკოჩევა (არგენტინა) მიაჩნია. ყველაზე უფრო სიმპათიურ ფეხბურთელად — ბაჭო (იტალია), მარადონას კი პელესა და დი სტეფანოს ტოლ ოსტატად თვლის.

**სოსა პარპრასნი** ახალგაზრდობაში ასევე თავდასხმელი იყო. შემდეგ დიდი გულშემატკივარი, თუმცა, როგორც თვითონ განაცხადა, ამ ბოლო პერიოდში ფეხბურთისათვის არ ეცადა. საქმე ის არის, რომ სამი წლის წინ საშინელი ავადმყოფობა დაემართა — სისხლის გათეთრება. მაგრამ სიკეთლში (აშშ) დიდებულიად უმკურნალეს. ახლა სავსებით გამოკანმრთლდა. უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატსაც ესწრებოდა, ხოლო მის მიერ შესრულებული „ამპოლა“ და განსაკუთრებით კი ესპანელთა საყვარელი „გრანდა“ მსმენელებს არასოდეს დაავიწყდებათ.

კარერასის საყვარელი ფეხბურთელებია იტალიელი მეკარე ზენჯა და თავდასხმელი სკილიაბი, რომელიც საუცხოო იყო მსოფლიო ჩემპიონატში. შემდეგ მან რატომღაც საქმეად მანგრძლივი „არდადეგები“ მოიწყო.

პავაროტი, დომინგო და კარერასი მომღერალთაგან არც პირველნი არიან და არც უკანასკნელნი.

ნასკენლი. ფეხბურთს ესოდენ რომ ეტრფიან. გავიხსენოთ კიდევ ერთი დიდი ტენორი, ტურინელი ფარუჩინო ტალიაფინი, ასე ვთქვათ, „ყველაზე დიდი გულშემატკივარი მომღერალთა შორის“. რატომ ესოდენ კატეგორიულად — „ყველაზე დიდი გულშემატკივარი“? თუნდაც იმიტომ, რომ ტალიაფინის თხოვნით თუ დაუთინებთ მისი გამოსვლების კალენდარი ემთხვეოდა... ტურინის „იუვენტუსისას“ იტალიის ჩემპიონატში. როცა „იუვენტუსი“ შინ ტურინში თამაშობდა, ტალიაფინიც ტურინის საოპერო თეატრში მღეროდა და თანაც მატჩებს არ აცდებდა. როცა „იუვენტუსი“ სხვა ქალაქებში მიემგზავრებოდა, ახირებული ტენორიც თან მისდევდა და ამ ქალაქების საოპერო თეატრებში მარტავდა გასტროლებს.

გინახავთ ასეთი ფანტიკური სიყვარული?! მაგრამ ფეხბურთს მარტო სიხარული არ მოაქვს ადამიანისათვის, არამედ ხშირად იმედის გატრუნებაც. „იუვენტუსი“, თუმცა ძალიან ძლიერი იყო, ყოველთვის ხომ არ მოიგებდა? „ბენბერი ქალბატონის“ (ასე ეძახიან იტალიაში „იუვენტუსს“) თითოეული წაგება კი იმას ნიშნავდა, რომ გამწვანებული ტალიაფინი კარგავდა მზას (სახედნიერად, ცხადია, დროებით) და თეატრის დირექციას მისი სექტაკლების გაუქმება უხდებოდა.

**გივი გამრკაელი,**





სარიიდან:  
შარლოკ ჰოლმსის  
დაბრუნება

# გველად შეიბრეიწვი

ამაყი ლედი დუმილს ამგობინებდა. მისი დაბევილი ხელი ნახეთ? ლედის ამის შესახებ არაფერი უთქვამს. მე კი კარგად ვიცი, რომ იმ მხეცმა საბრალო ქალს კინალამ ხელი მოამტვრია, სერ იუსტესი ადამიანი კი არა, ნამდვილი მხეცი იყო. ალბათ ღმერთი შემინდობს, რომ მოკლულზე ამას ვამბობ. იგი წლინახევრის წინ გავიცანით. მან ისე მოგვაჩვენა თავი, თითქოს თავლი ამოსდიოდა პირიდან. თავისი ტიტულით, ფულითა და ლონდონის მაცდუნებელი ბრწყინვალეობით თავგზა აუბნია ჩემს ქალბატონს, ეს შეცდომა მას ძვირად დაუჯდა. როდის გავიცანით? იენისში ლონდონს ჩამოვედით, ივლისში კი სერ იუსტესს შევხვდით. გასული წლის იანვარში მათ იქორწინეს. ამჟამად ლედი ბრეკენსტოლი თავის მისაღებ ოთახშია, მან ბევრი განიცადა და ამიტომ თუ შეიძლება, შეკითხვებით ნულარ შეაწყენთ თავს.

ლედი ბრეკენსტოლი ტახტზე იყო წამოწოლილი. ამჯერად უფრო ცოცხლად გამოიყურებოდა. ჩვენთან ერთად ოთახში მოახლე შემოვიდა და ლედის შუბლზე საფენი შეუტკვალა.

— ხელმეორედ უნდა დამკითხოთ? — იკითხა შეწუხებულმა ლედიმ.

— არა, — რბილად შეეპასუხა ჰოლმსი. — მე მხოლოდ ერთი განზრახვა მამოძრავებს: მინდა დაგეზმაროთ. ამიტომ, როგორც მეგობარს, გთხოვთ მომენდოთ. ამით თქვენ არ ინანებთ.

— რა გნებავთ ჩემგან?  
— მხოლოდ სიმართლე!  
— მისტერ ჰოლმს?! —

— ლედი ბრეკენსტოლს, ყოველივე ეს უსარგებლოა. თქვენ ალბათ გსმენიათ ჩემი სახელი. ჩემი ღრმა რწმენით შემიძლია ვთქვა, რომ თქვენი მონათხრობი თავიდან ბოლომდის გამოგონილია.

— როგორი თავხედობაა, — წამოიყვირა ტერეზამ. — სერ, თქვენ ამით იმის თქმა გსურთ, რომ ჩემმა ქალბატონმა იცრუა?

ჰოლმსი სკამიდან წამოდგა:

— ლედი, თქვენ სათქმელი არაფერი გაქვთ?

## ართურ კონან დოილი

— მე ყველაფერი ვთქვი.

— ლედი ბრეკენსტოლს, კიდევ ერთხელ დაფიქრდით. უკეთესი იქნება, თუ ყოველივეს გულწრფელად აღიარებთ.

ერთი წამი ლედის სახეზე ეკვი გამოკრთა. მალე თავს დაეუფლა და გადაჰკრით თქვა:

— მე მეტი არაფერი ვიცი.

— სამწუხაროა. — ჰოლმსმა მხრებში აიჩეჩა და ქული აიღო.

ჩვენ უსიტყვოდ გამოვედით ოთახიდან.

პარკში ერთი გუბურაა. მთლიანად გაყინულიყო. გედის გამოსაზამთრებლად გუბურაში ყინულის ღრუ გამოეკრათ. ჰოლმსი ყინულღრუს დააკვირდა და კარისკაცის ჩიხური-საკენ გასწია. აქ მან სტენლი ჰოპკინსის სახელზე დეპეშა დაწერა და კარისკაცს დაუტოვა.

— უოტსონ, გამარჯვება შორს არ არის. შეიძლება რალაცაში ვცდებოდე. ამის თაობაზე ჰოპკინსმა რალაც უნდა იცოდეს. საინტერესოა რას მიაწერს იგი ჩვენს უეცარ დაბრუნებას? მისთვის ყოველი წვრილმანის გაცნობა ნადრევად მიმაჩნია. ამჯერად ჩვენი სამოქმედო ადგილი ადელიდა — საუთემპტონის ხომალდების სანაოსნო კანტორაა. თუ მესხიერება არ მალატობს, ეს კანტორა პელ-მელის ბოლოში უნდა იყოს მოთავსებული. არის ნაოსნობის მეორე ხაზიც, სამხრეთ ავსტრალიას ინგლისთან აკავშირებს. ამიტომ ჯობს, გამოძიება ამ ხაზიდან დავიწყოთ.

კანტორის მმართველისადმი გაგზავნილმა ჰოლმსის სავიზიტო ბარათმა მაგიური ზეგავლენა იქონია. მოკლე ხანში ჰოლმსს მისთვის საჭირო ყველა საინტერესო ცნობა ხელთ ჰქონდა.

1895 წლის იენისში ინგლისის პორტში „როკ ოფ გიბრალტარის“ ფირმის მხოლოდ ერთი ხომალდი შემოვიდა. გემის მგზავრთა სიაში აღნიშნული იყო „ფრეიზერი ადელიდიდან მოახლესთან ერთად“. ამჟამად ეს ხომალდი სუეცის არხის ჩრდილოეთით იმყოფებოდა და ავსტრალიისკენ აელო კურსი. გემის მომსახურე პერსონალი უწინდებურად იგივე იყო იმ განსხვავებით, რომ უფროსი თანამემწე — ჯეკ კროუპერი ხომალდ „ბასროკზე“ გემის კაპიტნად დაეწინაურებინათ. ეს ხომალდი საუთემპტონიდან ორი დღის შემდეგ უნდა შემოსულიყო. ჯეკ კროუპერი საიდენჭემში ცხოვრობდა. დღეს დილით იგი ინსტრუქციის მისაღებად კანტორაში უნდა გამოცხადებულყო.

მაგრამ ჰოლმსმა მასთან შეხვედრა არ ინდომა. საკმარისი იყო ნამსახურობის სიას გაცნობოდა, რომ გაეგო, თუ როგორ ადამიანთან ჰქონდა საქმე. ფლოტში არ მოიძებნებოდა ისეთი ოფიცერი, რომელსაც ასე მოკლე დროში ამგვარი ბრწყინვალე კარიერა გაეკეთებინა. შესანიშნავი ზღვაოსანიაო, თქვეს. ოლონდ თავისუფალ დროს ძალზე თავდაუპოვრელი და ფხუვიანი ყოფილა. მიუხედავად ამისა, სამუშაოზე კეთილ და პატიოსან ადამიანად იცნობდნენ.

კანტორიდან სკოტლენდ-იარდისკენ ავიღეთ გეზი. პოლიციის სამმართველოში მისვლისას ჰოლმსმა კებიდან გადმოსვლა არ ინება. წარბშეკმუხვნილი და ღრმად ჩაფიქრებული ჰოლმსი დიდხანს იჯდა კებში. შემდეგ ფიქრებიდან გამოერკვა და კებმენს უბრძანა, რომ ჩარინგ-კროსის ტელეგრაფში მიეყვანა. იქ დეპეშა გაგზავნა და ამის მერე ბეიკერ-სტრეიტისკენ გავემართეთ.

(დახასრული: დახასრული იხ. „დროშა“ №2).



— არა, მე ამის გაკეთება არ შე-  
მიძლია. — მითხრა ჰოლმსმა. —  
დაპატიმრების ორდერი რომ ავიღო,  
მაშინ მას მაღალი ღმერთიც ვერ  
უშველის. ჩემი კარიერის მანძილზე  
ბევრჯერ მიფიქრია, რომ საქმის გა-  
ხსნისას ბოროტმოქმედს უფრო  
დიდ ზიანს ვაყენებ, ვინემ დამნაშავე  
თვითონ საკუთარ თავს. ამიტომ სი-  
ფრთხილეს თავი არ სტკივა. ინგლან-  
დის კანონების წინააღმდეგ ცოდვე-  
ბის ჩადენა მირჩევნია, ვინემ საკუ-  
თარ სინდისს აღვუდგე წინ. სანამ  
მოქმედებას დავიწყებდე, საჭიროა  
ერთი დეტალის გამოკვლევა.

სალამოს სტენლი ჰოპკინსი გვეს-  
ტუმრა. გამოხედვაზე ეტყობოდა,  
რომ საქმე მინცდამინც კარგად  
ვერ ჰქონდა.

— მისტერ ჰოლმს, თქვენ წინას-  
წარმეტყველი ყოფილხართ. არასო-  
დვის მიფიქრია, თუ ასეთი ზებუნებ-  
რივი ნიჭით იყავით დაჯილდოებუ-  
ლი. როგორ გაიგეთ, მოპარული  
ნივთები რომ გუბურის ფსკერზე  
იყო?

— ამის შესახებ მე არაფერი ვი-  
ცოდი.

— თქვენ ხომ მითხარით, რომ  
გუბურა დამეთვალისწინებინა?

— როგორ, ვერცხლეული იპო-  
ვეთ?

— ვიპოვეთ.

— მოხარული ვარ, რაკი რალაცა-  
ში დაგეხმარეთ.

— სერ, თქვენ დამეხმარეთ კი  
არა, გამირთულეთ საქმე, რამ აიძუ-  
ლა მძარცველები, რომ ნადავლი  
გუბურაში ჩაეყარათ?

— როგორც ჩანს, — უბასუხა  
ჰოლმსმა, — უცნაური მძარცველე-  
ბი ყოფილან. ჩემი ღრმა რწმენით,  
მათ ვერცხლეული თვალის ახვევის  
მიზნით გაიტაცეს. წასაღებად ისინი  
ალბათ მოგვიანებით მოვიდოდნენ.

— როგორ მოგვივიდათ ეს აზრი? —  
იკითხა ჰოპკინსმა.

— მე მხოლოდ ვივარაუდე, როცა  
ისინი სახლიდან გამოვიდნენ, ცხვირ-  
წინ გუბურა შენიშნეს, სადაც ყინუ-  
ლი ამოეჭრათ. ამაზე უკეთეს სამა-  
ღავს სად ნახავდნენ?

— რათა ნადავლი დაემალათ, არა?

— სწორედ ამაშია საქმე, — წა-  
მოიყვირა ჰოპკინსმა. — ახლა ყვე-  
ლაფერი დღესავით ნათელია. შუა-  
ღამისას გზაზე ჯერ კიდევ დადიან  
ადამიანები. ამიტომ ქურდებს შე-  
ეშინდათ, რომ მათ ნაკვალევს ვინმე  
დაინახავდა. ვერცხლეული გუბურა-  
ში ჩაყარეს და შემდეგ უჩუმრად  
წაიღებდნენ. მისტერ ჰოლმს, ბრწყინ-  
ველი აზრია. ეს ვერსია თქვენს  
ვერსიას სჯობს. ე. ი. ვერცხლეული

თვალის ასახვევად წაულით მძარც-  
ველებს.

— შესანიშნავი ვერსიაა. ჩემი  
განსჯა აბსურდული ყოფილა. მაგრამ  
ვერცხლეულის აღმოჩენაში ცოტა-  
თი მაინც დაგვეხმარა.

— გეთანხმებით, სერ, ეს თქვენი  
დამსახურებაა. მაგრამ, სამწუხაროდ,  
ეს არ არის ყველაფერი. მოახლოე-  
ბულმა უბედურებამ თავგზა ამი-  
ბნია.

— როგორ, იმედი გაგიცრუვდათ?  
— დიახ, დღეს დილით ნიუ-იორკ-  
ში რენდალის ბანდა შეუპყრიათ.

— ეს ხომ საშინელებაა. თქვენი  
ვერსია ჩაიფუშა. ბანდა თუ ნიუ-  
იორკში დაიჭირეს, მაშ როგორღა  
ჩაიდენდნენ დანაშაულს ინგლისში.

— მისტერ ჰოლმს, ეს საშინელი  
დარტყმაა. შესაძლოა ამ მიდამოებ-  
ში პოლიციისთვის უცნობი რომე-  
ლიმე ბანდა მოქმედებს?

— შესაძლებელია. ამჯერად რას  
აპირებთ?

— ძიების გაგრძელებას. ხომ არა-  
ფერს მირჩევთ?

— რჩევა უკვე მოგეცით.

— სახელდობრ?

— გახსოვთ „თვალის ახვევის მიზ-  
ნით“?

— მისტერ ჰოლმს, ეს ხომ მხო-  
ლოდ მოტივი იყო?

— ეს ყველაზე მთავარია. მე  
თქვენ იდეა მოგეცით. თქვენ ამას  
უნდა ჩაუფიქრდეთ. ჰოპკინს, ჩვენ-  
თან ხომ არ ისაძილებთ? რა გაეწ-  
ყობა, კარგად იყავით. ყოველ შემთ-  
ხვევაში, საქმის კურსში შეგიყვანეთ.  
სადილის შემდეგ ჰოლმსი ებბი-  
გრეინჯში მომხდარ მკვლელობის  
ამბავს დაუბრუნდა. ჩიბუხი გააბო-  
ლა და ფეხები მოვიზგიზე ბუხარს  
მიუშვია. შემდეგ საათზე დაიხედა.

— უოტსონ, როგორც ხედავთ,  
მოვლენების განვითარებას ვეცი-  
ლებით.

— როდემდის?

— უოტსონ, სტენლი ჰოპკინსს  
ცუდად ხომ არ მოგეჭეცი?

— ჰოლმს, მე თქვენი აზროვნე-  
ბისა მჯერა.

— თქვენი მხრიდან ეს დიდი თავა-  
ზიანობაა. მე ამ საქმეში არაოფი-  
ციალური პირი ვარ. ჰოპკინსი კი  
ოფიციალური პირია. მე შემძლია  
საკუთარი შეხედულებით ვიმოქმე-  
დო, მას ეს არ შეუძლია. იგი ვალ-  
დებულაა უფროსობა საქმის კურს-  
ში შეიყვანოს. წინააღმდეგ შემთხ-  
ვევაში მას პროფესიის შეცვლა მო-  
უწევს. ჩვენ, სანამ ყველაფერს ნა-  
თელი არ მოეფინება, უნდა ველო-  
დეთ.

— როდემდის?

— უოტსონ, სულ მალე თქვენ  
ერთი პატარა, მაგრამ შესანიშნავი  
დრამის მოწმე გახდებით.

კბეზე სწრაფად ამომავალი ადა-  
მიანის ფეხის ხმა მოისმა. კარი გა-  
იღო და ზღურბლზე ახალგაზრდა  
მეზღვაური გადმოვიდა.

მაღალი მამაკაცი იყო. ცისფერი  
თვალები და თქროსფერი უღვაშები  
ჰქონდა. სახის კანი ტროპიკულ სიცი-  
ხეს გაერუჟა. მისი მსუბუქი, ზამბა-  
რისებური სიარული იმაზე მეტყვე-  
ლებდა, რომ იგი მოქნილი და ძლი-  
ერი პიროვნება უნდა ყოფილიყო.

შემოსულმა კარი მიიხურა და შე-  
ჩერდა. მუშტები შეეკუმშა და მძი-  
მედ სუნთქავდა.

— კაპიტანო კროუფერ, დაბრძან-  
დით. დეპეშა მიიღეთ?

ჩვენი სტუმარი სავარძელში ჩა-  
ჯდა. ჯერ ჰოლმსი შეათვალისწინა.  
მერე გაოცებული მზერა ჩემზე გად-  
მოიტანა.

— სერ, დეპეშის მიღებისთანავე  
აქეთ გამოვეშურე. ვხედავ, გამოსა-  
ვალი არაა. კატათავგობანას თამაშს  
აზრი არა აქვს! უნდა დამაპატიმ-  
როთ?

— უოტსონ, კაპიტანს სიგარა მია-  
წოდეთ. კაპიტანო, ნუ ნერვიულობთ.  
ჩვეულებრივი დამნაშავე რომ იყოთ,  
თქვენთან სიგარას არ გავაბოლებდი.  
თუ გულახდილი იქნებით, შეძლე-  
ბისდაგვარად დაგეხმარებით. ხოლო  
თუ გულახდილობაზე უარს იტყვით,  
ყველაფერი თქვენს თავს დააბრა-  
ლეთ.

— რა გსურთ ჩემგან?

— მოგვითხრეთ, რა მოხდა იმ სა-  
ღამოს ებბი-გრეინჯში, ოღონდ არა-  
ფერი დაგვიმალოთ. მე ამ საქმის  
გარშემო იმდენი ვიცი, რომ თუ ერ-  
თი დიუმით მაინც გადაუხვევით სი-  
ნამდვილიდან, მაშინ ფანჯარაში და-  
ვუსტვენ და საქმე მყისვე პოლიციას  
გადაეცემა.

მეზღვაური წუთიერად ჩაფიქრდა,  
შემდეგ მზემოკიდებული ვეებერთე-  
ლა ხელები მუხლებზე დაირტყა:

— გავრისკავ, ჯენტლმენებო, —  
წამოიძახა. — ვიმედოვნებ, დაპირე-  
ბას არ გადაუხვევთ, ვეცდები, ყვე-  
ლაფერი დაწვრილებით გვიამბოთ.  
უპირველეს ყოვლისა, მთავარზე გა-  
ვამახვილებ თქვენს ყურადღებას.  
პირადად მე არაფერს ვნანობ. ახლაც რომ  
თავიდან დამეწყო, ამასვე მოვიმოქ-  
მელებდი. ეშმაკმა დალაზგროს სერ  
იუსტისის თავი. ნამდვილი მხეცი  
იყო. ათი სიცოცხლე რომ მქონოდა,  
ათჯერვე ვაგებინებდი პასუხს თავის  
უხამსობაზე. მერი ფრეიზერის ერთ  
გალომებაზე მზად ვიყავი, სიცოცხლე  
გამეწირა. რა უნდა მექნა? საინტე-



# „მურანი“

ქართული ცისა და ქართული მიწის უბეში გაზრდილმა ამ გოგო-ბიჭებმა ცეკვით შემოიარეს თითქმის მთელი მსოფლიო. რამდენიმე საჭველმოქმედო კონცერტი ჩაატარეს და მთელი შემოსავალი შერაბ კოსტავასა და დემოგრაფიული საზოგადოების ფონდში ჩარიცხეს. ცალკე კონცერტები მიუძღვნეს მ აპრილს დაღუპულთა ხსოვნას.

ახლა ანსამბლი „მერანი“ საკონცერტო პროგრამაზე მუშაობს. მთელი შემოსავალი სამაჩაბლოდან ლტოლვილ ქართველებს მოხმარდება. ივლისში „მერანი“ საფრანგეთს მიემგზავრება მსოფლიო ფოლკლორულ ფესტივალზე. შემდეგ კი ინგლისი, შვეიცარია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ავსტრია ელით. მომავალი წლის იანვარში ქართველი მოცეკვავეები მესამედ წარდგებიან ამერიკელი მაყურებლის წინაშე.







მოდი, ერთად ვიცეკვოთ!..



ფოტო ბადრი ვადაჭკორიასი





საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ირმა ნიორაძე







რესოა, თქვენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდით?

როგორც ვხედავ, თქვენ ყველაფერი გცოდნიათ. ჩვენ ერთმანეთი ხომალდ „როკ ოფ გიბრალტარზე“ გავიცანით. ინგლისში მოგზაურობისას გემის უფროს თანაშემწედ ვმუშაობდი. ლედი დანახვისთანავე უსაზღვროდ შემიყვარდა. საღამოთი ვახტზე ყოფნისას სიბნელეში მუხლებზე ვეშვებოდი და ვეამბორობოდი იმ ადგილს, სადაც საყვარელი არსება იდგა. ის კი ჩემში მხოლოდ მგობრულად გრძნობებით იყო გამსჭვალული.

ნაოსნობიდან დაბრუნებისას გავაგე ლედის გათხოვების ამბავი. ის ხომ თავისუფალი ქალი იყო და შეეძლო გაყოლოდა ცოლად იმ პიროვნებას, რომელიც მას მოეწონებოდა. მე ეგოისტი არა ვარ. ამიტომაც მისი გათხოვება არ მწყენია. პირიქით, მიხაროდა კიდევ, რომ ღირსეულ ადამიანს გაჰყვა ცოლად.

ო, როგორ მიყვარდა! არ მეგონა, თუ ოდესმე კიდევ ვნახავდი. ბოლო ნაოსნობის შემდეგ დამაწინაურეს. სანამ ახალ ხომალდს ზღვაში ჩაუშვებდნენ, მთელი ორი თვე მომიხდა ლოკინი. უწინდებულად საიდენჰემში ვცხოვრობდი. ერთხელ სოფლის შარავზე სეირნობისას ლედის მოახლეს, ტერეზა რაიტს შეგვხვდა. ამ უკანასკნელმა დაწვრილებით მიაშბო მერის ამბავი.

ამის გაგონებაზე ლამის გონება დაეკარგე. ვერ წარმომედგინა იმ ლოთ არამზადას როგორ უნდა აღეშარათა ხელი საკუთარი ცოლის წინააღმდეგ? იგი ხომ მისი ფეხსაცმელების ლოკის ღირსიც არ იყო.

ტერეზას ისევ შეგვხვდა. მან კი მერის შემახვედრა. ჩვენ სულ ორჯერ ვნახეთ ერთმანეთი... მერიმ აღარ ინდომა ჩემთან შეხვედრა. ერთი კვირის შემდეგ ზღვაში უნდა გავსულიყავი. წასვლის წინ გადავწყვიტე, რომ მერი მომენახულებინა. ტერეზა ჩემი მეგობარი გახდა. ის თავის ქალბატონს აღმერთებდა, ხოლო მისი ლოთი ქმარი დასანახავად ეჩავრებოდა. სახლის დღის განრიგი გავიგე. მერი, ჩვეულებისამებრ, პირველ საათამდე წიგნს კითხულობდა ხოლმე. ღამით ფანჯარასთან მივიპარე და ფრთხილად დავაკაკუნე. მერის ფანჯრის გაღება არ უნდოდა. მე ალლოთი ვგრძნობდი, რომ მასაც უყუყვარდი. მან მანიშნა, რომ სახლში სასადილოს ოთახიდან შეესულიყავი. კარები ღია იყო და მეც თავისუფლად შევედი. მერიმ თავის ყოფაზე ისეთი რამეები მიაშბო. სისხლი ამიღულდა. ის გარეული

მხეცი, თურმე, ჩემს სანუკვარ ქალს დაუნდობლად აწვალებდა.

ჩვენ სამზარეულოს კარებთან ვიდექით. ღმერთია მოწმე, სულ უბრალო რამეებზე ვსაუბრობდით. უცებ ოთახში სერ იუსტესი შემოიჭრა. უშვერი სიტყვებით მიმართა მერის და სახეში წყნელი გადაუჭირა. ინსტინქტურად ლუმელის საჩხრეკს ვტაცე ხელი. ბრძოლა წესიერად და უშეღავათოდ წარიმართა. მისი დარტყმა ახლაც მეწვის. მეორე დარტყმა ვეღარ მოასწრო. ბუხრის საჩხრეკით, დამპალ გოგრასავით გავუბრტყეულ თავი. არც შემცოდებია. სასწოროზე ორის სიცოცხლე იდო: ჩემი და მერის. უფრო სწორად მისი... ქალის ქმარი რომ ცოცხალი დარჩენილიყო, ცოლს აუცილებლად მოკლავდა. საინტერესოა, თქვენ ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავით, რას იზამდით?

როდესაც მან მერის დაარტყა, ქალმა შეჰყვირა, ყვირილზე ტერეზამ მოირბინა. მაგრამ ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო. ბუფეტში დღინთ სავსე ბოთლი შევნიშნე. ბოთლი გავხსენი და რამდენიმე წვეთი გულწასულ ლედის პირში ჩავასხი. ცოტაოდენი მეც მოვსვი. ტერეზა რაიტს ყინულივით სახე ჰქონდა, თუმცა სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მთელი გეგმა მე და ტერეზას გვეკუთვნის.

გადავწყვიტეთ, რომ გაჭურდვის ინსცენირება მოგვეწყო. სანამ მავთულს გადავკრიდი, ტერეზა ლედის სამოქმედო გეგმას უხსნიდა. ამის შემდეგ ლედი სავარძელზე მივავით. ყველაფერი რომ ბუნებრივად გამოსულიყო, მავთულის ბოლო დანით გადავხეჩებ. თვალის ახვევის მიზნით ვერცხლეული თან წავიდეთ. გადავწყვიტეთ, რომ განგაში თხუთმეტი წუთის შემდეგ აგვეტება. ვერცხლეული გუბურაში ჩავყარე და საიდენჰემში დავებრუნდი. მთელი ცხოვრების მანძილზე პირველად შევიგრძენი, რომ ბოროტმოქმედი ვიყავი. მისტერ ჰოლმს, მერწმუნეთ, რაც მოგიყვებით, ეს სრული ჭეშმარიტებაა.

მცირე ხანს ჰოლმსი მდუმარედ ეწეოდა თამბაქოს. შემდეგ ადგა და ოთახში სიარული დაიწყო. ასევე მდუმარედ მიუახლოვდა ჩვენს სტუმარს და ხელი ჩამოართვა.

— თქვენი ნაამბობის სისწორეში ეჭვი არ მეპარება. — თქვა ჰოლმსმა. — აკრობატს ან მეზღვაურს შეეძლო კედლის კარნიზზე აცოცება და ასე ოსტატურად თოკის გადაჭრა. ამასვე ადასტურებდა თოკის კვანძი, რომლითაც ლედი სავარძელზე იყო

მიბმული. ჯეკ კროუჯერი თავისი მდგომარეობით მერი ფრეიზერის წრის წარმომადგენელია. ამიტომაც დაიცვა მან ქალის ღირსება, თანაც უყვარდა კიდევ.

— მისტერ ჰოლმს, როგორ ფიქრობთ, პოლიცია მიხვდებოდა ამას?

— პირადად ჰოპკინსი ამას ვერ ჩასწვდებოდა. კაპიტანო, დანაშაული ძალზე სერიოზული ხასიათისაა. თუმც ისიც მართალია, რომ თქვენ ეს გამოუვალი მდგომარეობის ზეგავლენით მოიმოქმედეთ. გადააჭარბეთ თუ არა თავდაცვის ნორმებს, ამას ინგლისის სასამართლოს ნაფიცი მსაჯულნი გადაწყვეტენ.

— სერ, პოლიციას შეატყობინებთ?

— აუცილებლად!

მეზღვაურს სახე წამოენთო.

— სერ, მე ბრწყინვალედ ვიცი ინგლისის კანონები. ისინი მერი ფრეიზერს მკვლელობის თანამონაწილედ ჩათვლიან. მე კი ამას არ დავუშვებ. აქედან არსად არ წავალ. მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვთ. ნუ მიიყვანთ ამ საქმეს სასამართლომდე. ჰოლმსმა კაპიტანს ხელმეორედ ჩამოართვა ხელი.

— კაპიტანო, ნუ ღელავთ. მე მხოლოდ გამოგცადეთ. პირადად მე ჩემს თავზე დიდ პასუხისმგებლობას ვიღებ. ჰოპკინსს ძაფის ბოლო მივეცი ხელში. იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერაფერს გააწყობს, თავის თავს დააბრალოს. ახლა კი როგორც ინგლისის კანონი მოითხოვს მე და დოქტორი უოტსონი ისე გაგასამართლებთ.

— კაპიტანო კროუჯერ, თქვენ ბრალდებული ხართ. უოტსონ, თქვენ ინგლისის სასამართლოს ნაფიცი მსაჯული ბრძანდებით. მე კი მოსამართლე გახლავართ, ამრიგად ჩენტლმენებო, თქვენ მოისმინეთ ბრალდებულის ჩვენებები. ცნობთ თუ არა მას დამნაშავედ?

— იგი უდანაშაულოა, — ვთქვი მე.

— ხალხის ღალადი ღმერთის ღალადია, — თქვა ჰოლმსმა. — კაპიტან კროუჯერ, თქვენ გამართლებული ხართ. სანამ მართლმსაჯულება სხვა დამნაშავეს არ აღმოაჩენს, თქვენ თავისუფალი იქნებით. უმჯობესია თქვენს საყვარელ არსებასთან ერთი წლის შემდეგ დაბრუნდეთ. დაე, თქვენმა მომავალმა ცხოვრებამ დაადასტუროს ჩვენი დღევანდელი განაჩენის სამართლიანობა.





დავით და გიორგი  
ლუის ვასალიო ლომინაძეები



# ლორს საფორლოვა უიქრის

ოვალურად ამოზიდულ ცისარტყელასავით გადაკიმულა მდინარეზე „თამარის ხიდი“. მეთორმეტე საუკუნეშია აშენებული ეს ხიდი და დღესაც არ „ხერხდება“ მისი დაწვრთვა. ბათუმიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, სოფელ ქედაში, მთებსა და გორაკებს შორის თვალს ატყვევებს მისი უხადო სილამაზე.

მთის კალთებზე მწვანე, სურნელოვანი ტყე შეფენილა და სოფელს, რომელშიც სოკოებივით ჩამჭდარან თეთრი სახლები, მალლიდან დაცქერის.

ქედაში ჰავაც განსაკუთრებით ცივია და ცინცხალი.

აქ დაიბადა რუსუდანი, ნაზიკო და ტარიელ ლომინაძეების ქალიშვილი, ლირსეულ რძლად რომ მიიღეს კუბელებმა. აქ დაქაალდა. აქედან დაიწყო მისი საინტერესო ცხოვრების გზა.

შეიძლება ეს ადგილები მიატოვო დროებით, მაგრამ ამ მიდამოებიდან სამუდამოდ წასვლა წარმოუდგენელია.

მაინც მოუხდა რუსუდანს ამ სამოთხის მიტოვება.

წავიდა რუსუდანი. შორეულ ქვე-

ყანაში წაიყვანა გასაჭირმა კი არა, ბედისწერამ. რომელიც, ალბათ, ერთხელ ეწვევა სიცოცხლეში ადამიანს.

კუბელი ლუი ვასალი პირველი დანახვისთანავე მივიდა გულთან ახლოს. მოსკოვი, სტუდენტობის პერიოდი. ერთად სწავლა. ერთ სახლში ცხოვრება. ორთავენი სასწავლებლად ჩამოსულები. მშობლიურ გარემოს მონატრულები.

გულმა გული იცნო. იმასაც მიხვდნენ, უერთმანეთოდ ყოფნა რომ არ შეეძლოთ.

და აი, კუბის საელჩოში, საზეიმო სუფრაზე ოფიციალურად ფორმდება მშვენიერი წყვილის შეუღლება.

წლისთავზე ვაჟი შეეძინათ, დავით ლუის ვასალიო ლომინაძე. შემდეგ კი გიორგი მოეველინათ.

მოენატრება ქართველ ქალს გამზრდელი სოფელი. ბათუმი, მშობლიური ზღვის სანაპირო და სამშობლოსაკენ გამოუწვევს გული.

აი ახლაც აქაა, საზაფხულოდ ჩამოსულა. შვილები ჩამოუყვანია და დიასახლისობაში გართულა. რძალთან ერთად ტყემალს ხარშავს, ქართული სურნელი უნდა უცხო ქვეყანაში წაიღოს.

ელვარე, შავთვალეებიანი ქალი. ეშხიანი, ჭკვიანი, ცხადია, მოწონებასა და სიყვარულს დაიმსახურებს უცხოელის თვალში.

ცხოვრობს კუბაში. პატარა საზღვაო ქალაქ მატანაში. ჰავანიდან რაღაც ათიოდე კილომეტრზე. ნახევრად ქართული ოჯახი. მატანა ბათუმს ჰგავს. ბათუმივით მწვანეა და ლურჯზღვიანი. მოაქვს ზღვის მშობლიური მიწის სურნელება და სული ივსება ქართული მზის სხივებით.

იციან ოჯახის წევრებმა, რომ მშვენიერია საქართველო, ლამაზი და მიმზიდველი. ისიც იციან, რა ამბები ხდება საქართველოში დღეს.

ამ დროს, ასეთ პირობებში, ამაყად გაისმის ქალური უბიწოებით ნათქვამი მისი სიტყვები:

— ამბობენ, რა ქვეყანაშიც ჩახვალ, იმ ქვეყნის ქული დაიხურეო. არაა სწორი ეს. მე, მართალია, სხვის ქვეყანაში ვარ. მაგრამ თავზე ჩემი ქვეყნის ქული მახურავს.

დახვაც საამაყოა. თავზე შენი ქვეყნის ქული გეხუროს და სადაც არ უნდა წახვიდე. შენს მშობლიურ მიწა-წყალზე ფიქრობდე.

დამანა მდივნიშვილი.



# პოჭლი ჰაბი

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

**კ**ოკლობით დარბაზში შევიდა. კოკლობას კარგა ხანია შეეჩვიო. ავარიის მერე, რას აღარ შეეჩვიო ავარიის მერე. კოკლობაზე უარესს ბევრს.

დარბაზში მიმოიხედა. ნაცნობი არავინ ჩანდა, ელოდა. რატომღაც მიმტანებთან მისვლა და შეკითხვა ერიდებოდა. ელოდა.

დაუძახეს.  
— ნუკრი, მოდი აქ, საქმე მაქვს. — იფიცინანტი ეძახის.

თვალეები იმედით გაუბრწყინდა.

არ სტოვებს მას ღმერთი, არ იფიწყებენ მფარველი ანგელოზები.

კოკლობით ოფიცინანტთან მივიდა.

— რა იყო, ვალია, რა საქმე გაქვს? ისე იკითხა. სხვათაშორის, ხომ უნდა ეკითხა რაიმე, აბა, პირდაპირ ხომ არ მიახლიდა, მომეციო.

— აი, ეს ოცი მანეთი, მითხრეს შენთვის მომეცა.

არ შემეცდარა, აქი გულმა შეკარნახა, ამ დილით კაფეში შეიარეო.

ოფიცინანტს ფული გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო. წელში გასწორდა.

— ვინ დამიტოვა, სახელი არ უთქვამს? — იკოდა, რასაც მიიღებდა პასუხად, პირველი შემთხვევა ხომ არ იყო.

— არ ვიცი, ნუკრი. მე რომ მოვედი დამლაგებელმა გადმომცა, ნუკრის დაუტოვესო.

არ სწირავს ნუკრის ღმერთი, რა სულზე მოუსწრო ფულმა. ცოტაც და თვითონაც გაანძრევს ხელს, ხომ დაპირდა დათო ჭოხონელიძე სამსახურს!

ახლა აბა ჩქარა, დიეტურ სასადილოში. ფული ღვთის წყალობით... ბავშვობაში 'კერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ბებიაჩემის მოყოლილი ზღაპრები, ზღაპ-

რები კი არა, სინამდვილე იყო.

ავი დედინაცვალი. შურჩიანი ძმები, დები. მოხერხებული ნაცარქეკია, კოსატყუილა. კუდიანი დედაბერი.

არა, ზღაპრები ცხოვრებაა. სინამდვილე. მაგრამ ზღაპრები თითქმის უკლებლივ კარგად მთავრდება. კეთილი ამარცხებს ბოროტს, ცხოვრება ყი...

რა იქნება, რომ ყველა ჩვენთაგანმა თითო ზღაპარი შექმნას სინამდვილეში! წარმოვიდგენიათ, რა იქნება, რომ თითო სულიერი თითო ზღაპრას ავტორი გახდეს!

მე შევეცადე ჩემი ზღაპარი დამეწერა, არ ვიცო რა გამოვიდა. ან მკონდა კი უფლება ზღაპრის დაწერისა? არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ სურველი იმდენად დიდი იყო, ხოლო ჩემი მოქმედება იმდენად გულწრფელი, რომ თავი ველარ შევიკავე, გავბედე. ნუკრი ჩემზე უფროსკა. კიდევაც ვიცნობდი, კიდევაც არა. ბევრი ადამიანი ერთმანეთს ხვდება, ერთმანეთის ასავალდასავალი იცის, მაგრამ არ გამოლაპარაკებია ერთმანეთს. ასე რომ, უცნობ-ნაცნობებად რჩებიან.

ასეთი იყო ჩემთვის ნუკრი.

ვხვდებოდით ერთმანეთს ხან თვეში ერთხელ, ხანაც წელიწადში ერთხელ.

მოხდა ისეც, ექვსი თუ შვიდი წელიწადი არ მენახა.

ერთხელ რიგის ქუჩის კუთხეში ვიდექი. პურის მალაზის პირდაპირ. ვიდექი და ვუყურებდი, როგორ ეხვეოდა მტრედების გუნდი ერთ დამაბუნებულ გლახაკს. ყურებზე ჩამოფხატული ქუდით. რომელსაც იქვე ტროტუარზე ჩაემუხლა. პურს ფინჩხლავდა და ფრინველებს უყრიდა, როცა გაუთავდებოდა.



კოკლობით მალაზიაში შევიდოდა და პურის ნატეხების ახალი გროვა გამოჰქონდა. ამ გლახაკისათვის თითქმის არავინ არ არსებობდა, არც ხალხი, არც ქუჩა — იყო მხოლოდ მტრედები, იყო თავდავიწყება. მაშინ მახსოვს გავიფიქრე: „ეს რა კარგი მოუფიქრებია, რამდენი პური იყრება, ან ვნრთხის და თავვის შესაქმელი ზდება. არ სჯობია, მტრედებს დავეხმაროთ-მეთქი“.

ძლივსლა ვიცანი, ეს დაგლახავებული ხეიბარი, რომელსაც მტრედები ეხვია, ნუკრი იყო!

სალამოს მის ამხანაგთან ჩამოვაგდე ნუკრიზე საუბარი.

— იცი რა ვიორგი, — მითხრა თემურმა, — ეს ნუკრიც ძალიან უხერხულ მდგომარეობაში მავდებს. ახლა ის ხუთი მანეთი კი არაფერია (თუმცა როგორ არ არი, როცა დღის განმავლობაში ყველაფერი გაანგარჩხებულნი ვგაქვს). მაგრამ იმ დროს მოგადგება ფული მომეციო. უხერხულ

მდგომარეობაში გავდებს. კაცო, რალა მე მთხოვს! იმას სთხოვოს, ვისთანაც იმ თავიკი სახლის ფული დახარჯა!

თემური არ არის ცუდი ბიჭი, კეთილი კაცია, მაგრამ... ადამიანს მაშინ ახსენდება ღმერთი, როცა ღვთის ანაბარა რჩება და თუ დაცემულმა უხილავი ძალის დახმარება იგრძნო, ის რწმენაში განმტკიცდება.

მე გავბედე პატარა ზღაპარი დამეწერა.

პერჩოდულად გტოვებდი კაფეში ფულს და ვაბარებდი ნუკრისათვის გადაეცათ, ამასთან კატეგორიულად ავუკრძალე ეთქვათ. ვინ უტოვებდა, თუმცა ისინი მაინც არ მიცნობდნენ. ვინ ვიყავი.

მე ჩემი პატარა ზღაპარი დავწერე და იცით რა... უნდა გამოგიტყდეთ. ერთხელ უტეებ მომეჩვენა, რომ ძალიან ვგავარ ნუკრის, იმ ნუკრის, რომელიც პურის მალაზის წინ ჩამუხლული მტრედებს უმასპინძლებოდა.



თამარ

გომართელი

# თეთრი გული სისუკუნე სსსრ

ასე უწოდა უცხოეთის პრესამ ეთერ კაკულის ერთ-ერთ კონცერტზე გამოსვლის გამო. მეორე რეპორტიორმა მის სახეში დაინახა „წითელთ მიხაკი შავი როიალის ფონზე“.

მღერის ეთერ კაკულია და, თითქოს მართლაც თეთრი გედი დაციმციმებს ცისფერი ტბის ზედაპირზე. კენესა-სიმღერაში ინსნება და ამღება რალაცნაირი ტკივილი. ასე გვონია, წითელი მიხაკი ინახება შავი როიალის ფონზე. ალალია მისი სიმღერა, გულგამოვლილი და ნაღვლიანი. ზოგჯერ ტირილია მელოდია. ზოგჯერ სხივივით ასხეტელი და გულში თავისთავად გაჩენილი. არ შეიძლება ეს სიმღერა მოისმინო და სევდა-ნაღველი არ შემოგაწვეს გულზე.

დიდი ხანი არ არის, რაც იგი გამოჩნდა ქართულ ესტრადაზე. მაგრამ მან უკვე მტკიცედ დაიკავა თავისი ადგილი. გაიკვლია საკუთარი გზა, გამოიმუშავა საკუთარი სტილი, შესრულების ორიგინალური მანერა, რითაც მიაღწია ყველა მომღერლისათვის სანუგეარ მიზანს — დაამყარა კონტაქტი მსმენელთან, მუუახლოვდა მის სულიერ სამყაროს.

ვის არ სმენია რევია ლადიძის, გიორგი ცაბაძის, შოთა მილორავას, ვაჟა აზარაშვილის სიმღერები, როცა მათ ეთერ კაკულია ასრულებს, ისინი თითქოს სხვანაირად ეღვრენ, სხვა აზრი აქვთ, სხვა ფერებსა და განწყობილებას ქმნიან. ეთერ კაკულის საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში, მისი არტისტული ბედის განსაზღვრაში, როგორც სამართლიანად შენიშნავენ სპეციალისტები, დიდი როლს შეასრულეს სწორედ ამ კომპოზიტორების საესტრადო ნაწარმოებებმა.

სიმღერამ ეთერი ბავშვობიდანვე გაიტაცა. ექვსი წლისა იყო, როცა თბილისის მოსწავლეთა სასახლის სიმღერის წრეში მივიდა. იქ იმდენად კარგად გაიწაფა, რომ სკოლაში თავისი ვოკალური მონაცემებით მსმენელთა დიდ ყურადღებას იპყრობდა.

საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო არა კონსერვატორიაში, არამედ უნივერსიტეტში — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, თუმცა მუსიკასთან კავშირე ერთი წუთითაც არ განელეგბია. პირველსავე წელს უნივერსიტეტის საესტრადო ორკესტრის წევრი ხდება. ამ ორკესტრში თვალნათლივ გამოვლენდა მისი საშემსრულებლო ნიჭი და შესაძლებლობანი. გამოდიოდა ვოკალურ ჯგუფთან ერთად (ნაწული აბესაძე, თემურ ცაგურია, სულიკო კოროშინაძე).

გადიოდა წლები და ეს გატაცება სიმღერისადმი თანდათან გზას იკვლევდა პროფესიონალიზმისაკენ, და აი, შას სახელმწიფო ანსამბლ „რეროში“ იწვევენ სოლისტად. „რეროსთან“ ერთად მოიარა საზღვარგარეთი, მრავალქ ქალაქი და ქვეყანა ნახა. თავყანისმცემლები გაუმრავლდა. დაამთავრა არჩეული ფაკულტეტი, დაეუფლა გერმანულ და ინგლისურ ენებს და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. აქვე ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის სოლისტი გახდა.

არის სიმღერა, რომელიც ერთხელ მოსმენის შემდეგ პირველი შემსრულებლის საკუთრებად იქცევა ხოლმე. სხვისი შესრულებითაც მოგვისმენია ვაჟა აზარაშვილის „მზე ჩემი მეგობარია“. მაგრამ ეთერ კაკულია სულ სხვანაირად ასრულებს მას. მღერის ისე, რომ გულის სიმებს შეეგირხვებს, ბედნიერების სხივებით ამოგვივსებს სულს.

თხუთმეტი წლის წინათ შეიქმნა ბუკიას „ქალარა“ კარლო კალაძის ლექსზე. ადრეც გავსმენია ეს კამერული მელოდია, როცა ეთერ კაკულიამ და მომხიბლავი ტემპრის მქონე ნეკო ჯაღუგიშვილმა კომპოზიტორ ა. რაქვიაშვილის მიერ ორანჟირებული „ქალარა“ შეასრულეს. ახლად დაიბადა ნაწარმოები.

ეთერ კაკულია, დღეს ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკეს-

ტრის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ცისფერი ეკრანისა და რადიოს ხშირი სტუმარი, ათასობით მსმენელსა და მაცურებელს ატკბობს თბილი, გულში ჩამწვდომი სიმღერით. ფართო და მრავალფეროვანია მომღერლის რეპერტუარი: თანამედროვე საესტრადო სიმღერები და ძველი რომანსები, ბოშური მელოდიები, მსოფლიო ხალხთა მუსიკალური ქმნილებანი და მივრწყებული ქართული ფოლკლორის მარგალიტები. მზე და სინათლე ეთერის ყველა სიმღერის თანმზღებია.

ეთერ კაკულის შემოქმედებითი გზის შექამება იყო მისი პირველი სოლო-კონცერტი, რომელიც გაიმართა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში.

„ამ ჩემს ქალარას გაზატხულის ქალარა ჰქვია“ — დაიბნა დარბაზში ნაცნობი მელოდია და მსმენელს მაშინვე სასიამოვნო განწყობილება დაეუფლა, უკეთეს უვერტიურას, ალბათ, ვერც კი წარმოვიდგენდით ამ საღამოსათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეთერ კაკულიას ხელოვნება მსმენელთა ფართო წრეების კუთვნილებაა, მისადმი სიყვარულსა და ერთგულებაზე თავს დებენ ფოთელები, იცის ეს ეთერმა და ამიტომაც განსაკუთრებული მონდომებით მოემზადა მშობლიურ ქალაქში ჩასასვლელად.

ბევრი საპატიო სტუმარი ეწვია ფოთს. აქაა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის კომიტეტის საესტრადო ორკესტრის მცირე შემადგენლობა (ხელმძღვანელი იური რაქვიაშვილი), კომპოზიტორები, მომღერლები...

შესრულდა ნუნუ დულაშვილის, რუსუდან სეფისკვერაძის, ვაჟა აზარაშვილის, იაკობ ბოძობიძის და სხვათა ნაწარმოებები.

მდიდარი რეპერტუარით წარსდგა მომღერალი საზოგადოების წინაშე. იმ საღამოს მან პირველად შეასრულა ნანა დაუშვილის სიმღერა „მოლოდინი“, გიტარისტ სერგო ნაცვალაძესთან ერთად იმღერა რამდენიმე ბოშური რომანსი.

ეთერ კაკულიას სიმღერა თაფლივით იღვრება მსმენელის სულში. რალაც ღვთაებრივია მის სევდიან მელოდიებში. თითქოს კენესა-გამინვა. ზეციურ სხივებშია შერწყმული და პანგი სხანათლედ ეფინება გარშემო.

შრომისმოყვარე, ნიჭიერი შემოქმედის — ეთერ კაკულიას წვლილი საესტრადო ხელოვნებაში დასათესებელია. ამიტომაც კანონზომიერად მიმაჩნია მისი წარდგენა სახალხო არტისტის საპატიო წოდებაზე.



გრიგოლ რობაქიძე

ტრაგიკული  
ცხოვრების  
ძრონიკავი

# ჩოსტა გალუკტიონა საჰი ეოიკლა

გრიგოლ რობაქიძის სიმთავლის  
ბოლო წათამაშე სინჯლორცაულად  
დანიბარაქაული იყო ბარტული მერ-  
ლოვის მიმდინარე პროცესებით. რო-  
დნას ამა თუ იმ მერალზე სტაბილს  
წარდა. ხშირად წინაწულე გამოთქვა-  
და იმის გამო, რომ არ ჰყოფდა მასზე  
ახალი მანდალი.

„ბედი ქართლინას“ ფურცლებზე  
(№ 89-90) გამოქვეყნდა გრიგოლ რო-  
ბაქიძის სტატია „გალუკტიონ ტაბი-  
და მიწი „ვახათა ავაა ნიკორწმინ-  
დას“. წარღვი დაუწარია გალაკტი-  
ონის დაუკვირე უმედაბ.

კუბლიკასია მოაზრდა და რადა-  
სიან დასაბამად წარმოუდგინა სარ-  
ბო თურქავამ. უოთა რუნთაველის  
სახელმისი ბარტული ლიტარატურის  
ინსტიტუტის უფროსმა მემნიერმა თა-  
ნამწრომელმა

ალარ არის სოფლად გალაკტიონ  
ტაბიძე... მეოთხე სართულიდან გად-  
მომხტარა და ასე შემზარავად მოუ-  
ღია ბოლო თავისი სიცოცხლისა-  
თვის. რით იყო ავად? რამ მიიყენა  
ასეთ წარკვეთილებამდე? „ვა, სო-  
ფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუ-  
ნებ, რა ზნე გკირსა“.

გალაკტიონი იყო თავისებური ყო-  
ველმხრივ. თავისებური უცნაურობა-  
მდე. იყო უცოლშვილო (მე დავტოვე  
საბჭოეთი 1931 წლის დამდეგს. ეგებ  
შემდეგ დაცოლშვილდა. არა მგონია.  
ცოლშვილიანი გალაკტიონი მე ვერ  
წარმოიდგენია). იყო მარტოდ-მყო-  
ფი ბუნებით. მის სიცოცხლეში —  
მხოლოდ ერთმა ტურფამ თუ გაირ-  
ბინა, როგორც შორითგან სატრფი-  
ალო მუზამ. გავიხსენოთ მისი ად-  
რინდელი შაირი „მერი“. ასე ტრფი-  
ალი მეგობრობა? ვეჭვობ, გალაკტი-  
ონს მეგობრობა განეცადოს. ვგუ-  
ლისხმობ ძმურ მეგობრობას და არა  
„მეგობრულ განწყობილებას“. იგი  
იყო გულდაბნული და ამის გამო  
მარტოდ მყოფი? არა, იგი გულაბ-  
დილი იყო, მხოლოდ, გულისყური  
სხვა მხრით ჰქონდა განხრილი. რა  
მხრით? პოეზიის მხრით! იგი ცოცხ-  
ლობდა და ცხოვრობდა შაირით,  
მხოლოდ შაირით. ჰირვეული იყო  
მით. მოვხატოთ ერთი მოსმით, შაი-



სურათში: (მარცხნიდან მარჯვნივ) ხხედან: სიმონ ჩიქოვანი, შალვა  
რალიანი, არისტო კუშბაძე, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, რაფ-  
დენ ზვეთაძე, გიორგი ლეონიძე; დგანან: ვარლამ რუხაძე, დემნა  
შენგელაია, ზეხარიონ უღენტე, ალექსანდრე ხულავა, გრიგოლ ცეცხ-  
ლაძე, აკაკი ვაწერელია, ვალერიან ვაფრინდაშვილი.

რი მისთვის იყო ის. რაც მთვარე  
მთვარეულისათვის.

იყო მუდამ პოეტურ ზმანებაში  
გადასული და თანაც „კახურით“ შე-  
ზარბოშებული. აქ ერთი დეტალი:  
საკვირველი, დიად, ცოცხალი ქართ-  
ველისათვის. „კახურზე არ მწყრა-  
ლი“; იგი მე ერთხელ არ მინახავს  
ნადიმზე და არც მსმენია როდისმე  
ელხინოს მას. ჩვეულებრივად ქართ-  
ველურად. და ეს საქართველოში და  
ტფილისში.

საინტერესო იყო მეტად შეხვედრა  
მასთან. შეგვეყრებოდა, შეირბეოდა  
ორმაგ „ზეყვანილი“ და მყისვე სი-  
ცხადზე გამოდიოდა, ემჩნეოდა  
უხერხულობა, თვითონაც ამჩნევდა  
ამას. იყო მორცხვი. ეს მორცხვობა  
გვარეული თუ იყო, ტიციანიც მორ-  
ცხვი იყო, მისი ბიძაშვილი. დანარ-  
ჩენში მისი ანტიპოდი. მსჯელობდი  
მასთან რამეზე, გეთანხმებოდა ყვე-  
ლაფერში, მხოლოდ ისე, რომ უკან-  
დასახევი გზა მოეტოვებია. გეთანხ-  
მებოდა. რადგან არ უნდოდა არ და-

საქართველო  
საბჭოთა  
ლიტერატურა



თანხმებით წყენა მოეყენებია. უკან-  
დასახევე გზას იტოვებდა, რადგან არ  
უნდოდა თანხმობით შებოჭვილიყო.  
ბოლოს და ბოლოს არ იცოდი, რას  
ფიქრობდა დანამდვილებით აღძრულ  
საკითხზე. ეს არ იყო არც იქით, არც  
აქეთობას.

მაშ რა? რასაც თვითონ არ ეხებო-  
და, იგი მას თითქო არ ეხებოდა, და  
არც თვითონ ეხებოდა. ამას იგი შაი-  
რებში გამოთქვამდა. ეს იყო და ეს.  
ხანდახან მწერალთა კრებებს ესწრე-  
ბოდა. იქდა თავისთვის განცალკევებ-  
ული, კამათში არ ერეოდა, ესეც  
გასაგებია... არის ჭური პოეტებისა,  
რომელთა შაირში პროზაული თქმა  
ხშირად პოეტურად გამოდის. გა-  
ლაკტიონი ამ ჭურს ეკუთვნის. უდრ-  
დეს ოსტატად შაირის ამგვარი მო-  
ზმევის პუშკინი ითვლება. იგი  
აღწევს ამ მოზმევას სიტყვის მელო-  
დიური გაშლით. პუშკინური მელო-  
დია განუმეორებელია.

ცალკე საგანია, რომელსაც აქ, რა-  
საკვირველია, გაკვრიტაც ვერ შეგე-  
ხებით. გალაკტიონსაც ემარჯვებოდა  
ხსენებული მოზმევა და სწორედ  
სიტყვის მელოდიური გაშლით, რო-  
გორც ნამდვილ მგოსანს, მასაც სა-  
კუთარი მელოდია აქვს, გალაკტიო-  
ნური. მისი მთავარი ზერხი აქ, გა-  
მეორებაა. გამეორება სიტყვის თუ  
თქმის.

... ეს წერილი მოთავეებული მქონ-  
და თითქმის, როცა წავიკითხე სიყ-  
ვარულით სავსე და ფრიად საყუ-  
რადლებო მოგონებები აკაკი გაწე-  
რელისი გალაკტიონზე „ლერწამი  
და გობელენი“.

ავტორს მოჰყავს შიგადაშიგ ნა-  
წყვეტები გალაკტიონის შაირები-  
დან. მოგიყვან ორ მათგანს დასამა-  
ტებლად იმისა, რაც ითქვა გალაკტი-  
ონურ გამეორებაზე.

პირველი:

„ლამით იმავე მეგობარს ველი.  
არაფერია, არაფერია“.

მეორე:

„ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,  
ფოთლები მიჰქრისან ქარდაქარ,  
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხარის,  
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?“

შემდეგ. „აკადემიისაკენ მიდი-  
ოლა“ — გვითხრობს ავტორი გა-  
ლაკტიონზე. „პორტფელს მიაქანებ-  
და“ (ეს ჩვეულებად ჰქონდა). „თავ-  
ჩაქინდრული მძიმედ მიაბიჯებდა.  
დავეწიე, ერთხანს უხმოდ მივყვე-  
ბოდი უკან. უცებ მისი ბუტბუტი  
შემომესმა: იგი ახალი ტაეპის რით-  
მებს თხზავდა თუ იმეორებდა“.

გავიხსენოთ ამ წერილის შესავალ-  
ში თქმული სიტყვა გალაკტიონზე:  
„მუდამ პოეტურ ზმანებაში გადასუ-  
ლი“. ალბათ მაშინაც, ბუტბუტის  
დროს, ასეთ ზმანებაში იყო გადასუ-  
ლი.

ერთს კიდევ უფრო მნიშვნელოვან  
ცნობას გვაწვდის ავტორი. ერთ პო-  
ეტზე საუბრისას — ამბობს იგი —  
გალაკტიონმა ეს თქვაო: „დაიღონ  
არ უზის სულში, ძამიკო, დაიღონ“.  
„დაიღონ“ ბერძნული გამოთქმით და  
გაგებით განპიროვნებული, წარმო-  
სახული იდუმალი ძალაა, მბუდობი  
ადამიანის ბუნებაში, ვითარ წარ-  
მმართველი უკანასკნელისა. „დაი-  
ღონ არ უზის სულში“ ეს ნიშნავს  
ვაცხადოთ გალაკტიონის ფარული  
აზრი, რომ სიტყვას მისსა, „იმ“ პო-  
ეტისა, არ აქვს შიგნიდან, სიღრ-  
მიდან ამოხეტილი ძალა. მოჰყავს  
რა გალაკტიონის აზრი „იმ“ „დაიღონ  
არ უზის სულში“, ავტორი უმატებს:  
„და ხმამალა ჩაიმღერა (გალაკტი-  
ონმა) თავისივე ლექსის ერთი ტაეპი  
„აი რა არის თავი და თავი“.

ვხედავთ, რომ გალაკტიონი თავის  
თავში გრძნობდა „დაიღონს“. საგულ-  
ვებელია, რომ იგი მით იყო შეპყრო-  
ბილი, აყვანილი. ამას ჰგულისხმობს  
რამდენიმედ ამ წერილის შესავალში  
ნათქვამიც: რომ გალაკტიონი „ჭირ-  
ვეული“ იყო, შაირით ჭირვეული  
„ძამიკო“.

ამ სიტყვაში ვხედავ მთელ გალაკ-  
ტიონს. ეთქვა „ძამიკო“ — თქმა არ  
იქნებოდა ღიმილმოვლელი, ეთქვა  
„ძამიკო“ — თქმით არ იქნებოდა  
„შორი-ახლოობა“ დაცული. სულ  
სხვაა „ძამიკო“: აქ ღიმილსაც ვხე-  
დავთ და შორიახლოობასაც ვგრძ-  
ნობთ. გაწერელია ამბობს: „ძამი-  
კოს“ გალაკტიონი „ყველა თანამო-  
საკეს და უმცროს მეგობარს ეძახ-  
და“. ამ „ძამიკოში“ უნდა ყოფილი-  
ყო. ასე მგონია, ტონი „უფროსუ-  
ლი“. უმცროს მეგობართა — არა  
მხოლოდ ასაკის მხრივ, თანამოსა-  
კესადმი ოდნავ გარე მიხედვითაც:  
ორივე შემთხვევაში მეგობრული.

ერთი რამ მაგონდება აქ. მაგონ-  
დება ვითარ სიზმარი — გალაკტი-  
ონის მიმართვა ტიცინანსადმი შეხ-  
ვედრისას: „ტიცინანო“. ამ მიმართვა-  
შიც, საკუთრივ მისი „ო“-ნით დაბო-  
ლოვებაში, მხოლოდ ვლინდებოდა  
გალაკტიონი. „ტიცინანო“ — ხალი-  
სიანი შეფრქვევით შეგებება უფრო-  
სული — „უფროსული“ ხნოვანების  
მიხედვით. ტონი თითქო გამომწვევი  
და თანაც გამხნეებელი. ერთიც  
მორცხვი იყო და მეორეც, ვიმე-  
ორებ, „ტიცინანო“ — მორცხვობას

გალაკტიონისა, აქ სითამამე ფარა-  
და უფროსისა. ტიცინანის მორცხ-  
ვობა კი სადა შემაგებებელი „შო-  
რისდებულთ“ იბადრებოდა. ამ  
წუთში ნათესაურობა მათი ქალწუ-  
ლური სინაზით იფინებოდა: ორი-  
ვეს ახასიათებდა — აქ რუსულ ენას  
უნდა დავესესხო — „ცელომულ-  
რიე“ მაგონდება...

ვის არ განუცდია მძიმე ლამე და  
არ აღმოხდენია: როდის გათენდება?  
გასაგებია ყველასათვის ეს ზახილი.  
ასე იგი პროზაული დარჩებოდა:  
რომელი საათია? ხოლო განმეორე-  
ბული რომელი საათია? რომელი  
საათია? — ერთი მონაქნეგია, პოე-  
ზიაში გადადის...

გალაკტიონის „ქებათა ქება ნი-  
კორწმინდას“... პირველი ნახევარი  
თითოეული სტროფისა. რომელიც  
შესავალია, ეხება ტაძარს — შენო-  
ბას ამა თუ იმ მხრით. მეორე ნახევ-  
რის პირველ სამ სტრიქონში აღტა-  
ცება და ხობტა:

ნეტავ ვინ აზიდა,  
რა ხელმა აზიდა,  
მალა ნიკორწმინდა!

განა ესეც ცალკური რიტორიკა  
არაა? თავისთავად უთუოდ, ხოლო  
შაირში მოქცეული, არა! აქაა ამ შა-  
ირის საიდუმლოება. რით ავხსნათ  
ეს? ჰიმნი მიმართულია შენობისა-  
დმი ტაძრისა. შეიძლება თუ არა  
ჰიმნით მიემართოთ რაიმე სხვა შე-  
ნობას. არა ტაძრის შენობას? მაგა-  
ლითად, შენობას თეატრისა, ან კლუ-  
ბისა, ან უნივერსიტეტისა? (ხაზს  
ვუსვამ ჰიმნით?). არა მგონია. სასა-  
ცილო იქნებოდა პირდაპირ. ტაძარი  
კი სრულიად სხვაგვარი შენობაა. იგი  
საყდარია მარადის, უზენაესის.

„ნიკორწმინდა“ სრულყოფილი  
შაირია, რადგან მასში, რა ძნელია  
ფორმისა და შინაარსის შუა ზღვა-  
რის გავლება. ამ მხრით იგი მუსიკას  
უახლოვდება. შინაარსი და ფორმა  
ერთდროულად არიან მოცემულნი.  
შინაარსისათვის აქ სხვა ფორმას ვერ  
წარმოიდგენთ. ფორმისათვის სხვა  
შინაარსს? აქ უნდა შეეჩერდეთ. ამ  
ჰიმნით ჩვენ შეგვიძლია სხვა რომე-  
ლიმე ტაძარსაც მიემართოთ, მაგა-  
ლითად ტაძარს გელათისა. მაშასა-  
დამე, აქ ფორმისათვის შესაძლებე-  
ლი ყოფილა სხვა შინაარსი! პასუხი:  
გელათი არაა ნიკორწმინდის მიმართ  
არსებითად „სხვა“, იგი ასე ეთქვათ,  
და მისი შინაგანი დანიშნულებით,  
იგივეა და გარეგან აგებულებით ამ-  
გვარი.





# საკვალივი

ჯონ რენდელ ბრატბი

ჯონ რენდელ ბრატბი დაიბადა 1824 წელს. უპირველეს ყოვლისა, ცნობილია, როგორც დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი წამახანი მხატვარი. 1860 წლიდან მონაწილეა ბრატბი აქვეანანს ლიტერატურულ ნაწარმოებებს, უმთავრესად ბალეტის. მულ წარილასა და პიენას.

ერნესტმა სასიეროდ წასვლა გადაწყვიტა. ვერ დაიძინა ცოლის სასიყვარულო ამბებით გულდამძიმებულმა. მალულად, ცაბცაბით გახსნა წერილი ჩაიდნის ტუჩიდან ამორტორცნილი ორთქლის თავზე. იქვე, გვერდით კომფორზე, ნელ ცეცხლზე მოლუსკები იხარშებოდა. როცა ავლავ დააწება, წერილს ემჩნეოდა, ვილაცას გაეხსნა. ოცდახუთი წლის ერთგულების შემდეგ თავს მოტყუებულად, დამცირებულად გრძობდა. ექვი კლავდა, ყველაზე მეტად კი მღელვარება. ლოგინზე ჩამოჯდა და ცოლის შიშველ ზურგს მოავლო თვალი. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, გაღვიძებისას, სანამ პიუამის ჩაცმას დაიწყებდა, ხედავდა ხოლმე, თუ როგორ ეხვეოდა მეუღლე ფეხებით მარჯვენა წვივზე, ხოლო მკლავებით თეძობებზე. მძინარე შიშველი ქალი ნიუარის მსგავსად ეკვროდა, ლამის ძარღვებში სისხლის მიმოქცევას უჩერებდა. თავდაც საბანივით გადაეფარებოდა ხოლმე, თითქოს საფრთხისაგან იცავსო, ახლა ქალი ვერც შეამჩნევს მის ადგომას საწოლიდან. ადრე კი ამჩნევდა, მოჩვენებით გულისტკივილსაც გამოხატავდა, დიდხანს თუ დაუყოვნებდა ალერსს.

საკიდოდან ჩამოხსნა ტვიდის ბრტყელი კეპი, რეზინისძირიანი, ვერცხლისსალტიანი ხელჯოხი და ნისლს შეერია.

დილის ნოტიო, ნაცრისფერ ბურუსში გახვეული მიუყვებოდა ფრიად კლდეებზე გადმომზირალ ტყეპარკს. გარკვეულ მანძილზე ხედვა ჭირდა. ნისლში უჩინარდებოდნენ შორეული სახლები და დედამიწა. ეა, ზღვა, მზის სხივებით მოფენილი პირსი ხიმინჯებზე, მებადურთა ნავები დანაგვიანებულ მეჩერზე და დარღვეული ნავსადგური. ახლა ეს ყოველივე მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო. გორაკებსა და აქორჩრილ ბალახებს ახლებური სინედლე შეეძინათ.

ერნესტი სრულიად ეული, ყველასა და ყველაფრისაგან განცალკევებული, თითქოს ნისლს შერთვოდა. სწორედ შესაფერი დრო დაუდგა ჯეინზე, გზაბანეულ მეუღლეზე. ღრმა ფიქრისათვის.

ერთ ხანს, ფიქრებიდან რომ გამოერკვა, გვერდზე მოტოვებულ მინდორს გახედა. ჯერ კიდევ მეტამეტად ადრე იყო სამი ცხენის გამოშვება, რომლებიც ქალიშვილებს ეკუთვნოდათ. ხოლო თეთრი თხები, ბორცვის ქვეშ, მდელოზე რომც ყოფილიყვნენ, მაინც ნისლში დაინთქმებოდნენ. მოაგონდა, თუ როგორ წიწკნიდნენ ისინი მზის გულზე ყვითელყვავილა კურდღლისცოცხას და ორი მათგანი როგორ უვლიდა ბტუნვა-ბტუნვით ფერმის ფარდულის სახურავს, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, თავისუფალი და ოპტიმისტი რომ ყოფილიყო, უთუოდ შეიპყრობდა კაცური პატივმოყვარეობა, მხეცის მშვიინვარება, დაუოკებელი სურვილი ამ ჯედზე თავდასხმისა. ახლა ექვი მოთვინიერებულყო და უტყვი საზრუნავი თითქოს მომავალ ცხოვრებას დასტრიალებდა თავს: დარჩებოდა, სადილს მოუშზადებდა, იყიდდა, აბაზანას აუესებდა, მოუსმენდა მის საუბარს, თუ დაავდებდა მარტობაში, თავისი საზრუნავის ანაბარა, მებადურთა პატარა ნავსადგურს გადმომზირალ, ახალშეძენილ დიდ, ძველ სახლში, თვითონ კი ჯედთან წავიდოდა საცხოვრებლად.

ადრე, როცა გრძობათა ალი წვავდა, გონებას უფორიაქებდა მისი ვნებით შეპყრობილი სხეული და კანი, ძალა ნატიფი თითებისა, რომლებიც მუდამ ამალელებელ მელოდიას აუღერებდნენ მამაკაცის ნერვთა სიმებზე, ღალატი უთუოდ ტანჯვის უფსკრულში ჩამარხავდა, მაგრამ ახლა უკვე შეახნის, მშვიდ, გამობრძმედილ კაცს ეს ნაკლებად ალელვებდა.

შფოთავდა, რადგან სახეცგალებამეტქრებოდა. მსახური, თანამეცხედრე წასკლას აპირებდა. მის პიროვნულ კომფორტს კარს მოსდგომოდა რეალური კრიზისი. ეშინოდა... არა ფანჯრიდან გაფრენილი სიყვარული-სა. არამედ იმ ორპირი ქარისა, რომელიც საკუთარ „მე“-ში შეეჭრებოდა.

უსიამოვნო სუსტმა ექვამა და მქრქალმა, ყრუ გულისტკივილმა შეიპყრო. გრძობდა, რომ მოატყუეს, ხრიკი მოუწყვეს. ქალი მისი საკუთრება იყო. წლების მანძილზე ჯონ

ჯონეტურად მიეჩაკვა, შეეთვისა, ექვობდა. გაძლებდა კი უიმისოდ? ახალგაზრდა, სახელად ჯედი, ქურდავდა. ვილაცას ნაწილ-ნაწილ გაქმონდა ავეჯი, რომლის წიაღშიც ოცდახუთი წელიწადი იცხოვრა. ეს იგივეა, სამზარეულო რომ დატოვო უღუმელოდ.

იქნებ ეცადა და მოეკლა?! — გაიფიქრა წამიერი ისტერიით მოცულმა. დააპირა კიდევაც იმ აზრის წაქეზება, რომელიც უტხო იყო მისთვის. მორჩილად ჩამოყარა მხრები, რადგან იცოდა, ახლა მეტისმეტი უძლურებისა და გონიერების წყალობით ამ საქმეს ვერ გაუმკლავდებოდა.

თმიდან ჩამონაყური სინოტივე ნისლისა თავსა და სახეს უმაღავდა. თითქოს წებო წაესვათ სხეულზე, გალიზიანებულყო. რატომ უნდა წააულიყო და წაეხდინა ამგვარად საქმე, ეს ზომ ყველაფრის წონასწორობას არღვევდა. სიყვარული 51 წლის ასაკში ნამდვილი უხამსობა იყო. ასაკთან ერთად ღირსებებიც ზომ უნდა შეეძინა და დაკმაყოფილებულიყო ქმრის მეურვეობით. ერნესტი მოიღუშა. უთუოდ კლიმაქსმა დარია ხელი.

გასცდა დაბურულ მდელოს, სადაც მეძუძური კრავები შეამჩნია, სიმბოლო ახალგაზრდობისა და გაზაფხულისა, მგზნებარებისა და სიმკვირცხლისა, ცნობისმოყვარეობისა და მარადიული ოპტიმიზმისა. ძნელი იყო დაჯერება იმისა, რომ ისინი კი უსიცოცხლო, ასაკოვან, თავმომაბეზრებელ, გონებაჩლუნგ ცხოველებად გადაიქცეოდნენ.

ლანდივით ჩაუარა კარის ძელებს, გადაჭრა გათელილი, ბუცებისაგან შერყვნილი ფეხბურთის მოედანი, რომელსაც მხნეობით აღსავსე, ახალგაზრდა სხეულთა გრგვინვა მოიცავდა ხოლმე და თავში აზრმა გაუთევა: იქნებ ჯედი მისი მყიფე, გაუხეშებელი არსებისაგან განსხვავებით სწორედ ასეთ სხეულს ფლობდა.



რა უნდა ექნა, თუ უარყოფდა და მიტოვებდა? არ ფიქრობდა სასაჩუქროსა და შუტრისძიების ზომებზე, განზორებაზე, ან თუნდაც იმაზე, იქნებოდა თუ არა ქალი ბედნიერი, ერთი რამ აწუხებდა: არ შეეძლო მართოდმართო დაჩენა. სჭირდებოდა ქალი, არა მხოლოდ იმიათვის, რომ ელაგებინა, სადილი ეკეთებინა, ერეცხა და მისი საუბარი მოესმინა, არამედ იმიტომაც, რომ მის სარეცელზე მყუდროებასა და სიბრძნეს დაესადაგურებინა. კვირაში ერთხელ ცოტაოდენი სექსიც საკმარისი იქნებოდა, ორმოცდაათი წლის ასაკში აღარ სჭირდებოდა რომანტიკა, ან სიყვარული, სულაც შეიძლება საქორწინო ბიუროსათვის მიემართა და ამგვარად შეხვედროდა ვინმეს, დაფიქრდა, ისურვებდა კი ვინმე მასთან შეხვედრას, და მოილუშა.

ნისლი სულ უფრო უახლოვდებოდა და გარს ეხვეოდა. მიხვდა, რომ დანთქმილიყო დიუნებსა და ლა-მანშს გადმომზიარალ ფრიალო კლდეებზე შეფენილ, მწვანით მოსილ ფერდობებს შორის, საშინლად დაიბნა. ერთხანს შედგა, ნისლით გარშემორტყმული, იდიოტური შეგრძნებით, თანაც ხანგამოშვებით ხელჯობის რეზინიან ბოლოს ცვრიან ბალახში არჭობდა. უცებ გაფულისდა. საუზნობა მოუნდა, ერთი რიხიანად შეიკურთხა იდუმალებით მოცულ ნისლში, თითქოს ჯედი ყოფილიყო პასუხისმგებელი, რომ მას ასე აგვიანდებოდა ბეკონზე, ერბოკვერცხზე, სოკოსა და კარაქქაშაშულ დაბრაწულ პურზე. საუზნე მისთვის ნამდვილი ნადიმი იყო. შეუდარებელ სიამოვნებას განიცდიდა, როცა ცოლის მიერ მიწოდებული ტანტრაბეჩით იჩიჩქნიდა კბილებს, ცოტაც და ააკრემლებდა ფიქრი იმაზე, რომ ის სულ მალე მიატოვებდა და თავად მოუხდებოდა საუზნის მზადება, ხოლო მეუღლის მზარეულობის ტალანტს ვიღაც შემოჭრილს გადაულოცავდა.

ბორძიკით განაგრძო გზა და ფეხებთან, ცვრიან ბალახში ნაკვალევი შენიშნა, თავისზე დიდი, ანლახან მიტოვებული და მერე უკუმიმართლებით გეზაღებული. რაკი ვერ გაერკვია, რომელ გზას გაყოლოდა, გადაწყვიტა, ნაკვალევს ასდევნებოდა... ვინ იცის, იქნებ ნაცნობი ჰქონდეს ან გზისკენ გაუძღვებოდა. მისდა გასაოცრად, კიდევ ვიღაც დასერილობდა კვირას, ალიონზე, ნისლში, ბურუსი შესქელებდა და ამჯერად მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის იქით შეეძლო თვალის მიწვდენა.

ახლა იგი სწრაფად და მოუთმენლად მიდიოდა. მანამ მტკად გაღვი-

ძებოდა. შიმშილს შეეწუხებინა. ჯენი ალბათ უკვე აღგებოდა, საქმის შეუღლებოდა. სისველით გაუღნითილი საფეხურები პიტალო კლდის წვერიდან ქვემოთ, ცისფერ-ნარინჯისფერი ქვიანი სანაპიროსაკენ ეშვებოდა და ერნესტი უკვე ვეღარ ხედავდა მათ ხშირ ბურუსში.

იმ ნისლიან დილას, ექვს საათზე, ჯედი სეირნობდა ციციბოებს შორის და საფეხურებით ეშვებოდა ნაპირისაკენ. ნისლი ჯერ კიდევ არ იყო გაუვალი, აწამებდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ იწვინენ ერთმანეთის გვერდით ჯენი და ერნესტი.

სეირნობდა დიდხანს, საათობით, მანამ, ვიდრე მზე ნისლს გაფანტავდა, ამინდი იმ მიდამოებში მაისში მთლიანად და ძალიან სწრაფად იცვლებოდა. ჯედი იყო ოცდათუთმეტი წლის მეთევზე, იმ კონტრბანდისტთა მემკვიდრე, რომლებიც წინათ ფართო საქმიანობას ეწეოდნენ ამ მიდამოებში, ეცვა ზემოდან გადმოკეცილი რეზინის ჩექმები, გაზეთილი შალის სვიტერი და სახედრის ტყავის მუქლურჯი ჟაკეტი, მხრებზე ტყავისავე საყურებლებით.

ჯენს ჯედი უყვარდა, რადგან ისე ეპყრობოდა, როგორც ქალს, ერნესტი კი არა — თუმცა ოდესღაც ესეც იყო. ჯენისათვის უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ საქმის კეთება, ვიდრე უკვე გაკეთებული საქმე. მისი ცხოვრება რეალობისაგან გიჟურ, ზეაქტიურ თავის დაღწევას წააგავდა, ისე ჩაფლულიყო საქმეში, როგორც სირაქლემა იმალეა, რომ ქალი მის ერნესტზე მოქმედებდა, ჯედისათვის კი იგი სექსუალური გამაღიზიანებელი იყო, ამიტომაც გახდა მისი მესაკუთრე.

ზღვა ბორგავდა, ღვარად მიედინებოდა კლდეებს შორის, ალტობდა ჩამუქებულ მიწას, ნაფეხურები ადამიანისა, რომელსაც ერნესტზე ადრე გაეგლო, ისე მოჩანდა, როგორც ნეპტუნი ზღვის გულიდან ამომართული. ჯედმა თავის მოკვლა ინატრა. დიდი სურვილი ჰქონდა, ღრმად შერთვოდა ზღვის ღმერთს.

შორს და მტკიცედ მიუყვებოდა მძვინვარე სანაპიროს. შემდეგ კი უკან დაბრუნდა და ფრიალო კლდეების გასწვრივ გაუღდა გზას, ირგვლივ შემოუარა ხის დამსხვრეულ ზვირთსაჭრელს, ჩაუარა ქალს, თვალყურს რომ ადევნებდა თავის პატარა ბიჭუნას, რომელსაც ხელთ ეჭირა ბადეში გახვეული ორი კრივეტი და პლასტმასის ნიჩაბი. ნაპირიდან მისკენ მიდიოდა, ბავშვმა, როგორც კი ფხვიერ ქვიშისნაირ შლამში ჩაეფლო, მყისვე შეჰკიკლა: „მომეშველეთ!“ ჯედმა გაიგო მისი შე-

ძახილი. მაგრამ არც მარჯვნივ გაუხედავს და არც მარცხნივ.

უახლოვდებოდა კლდეებს, რომელთა ქვედა მხარე თითქოს მოვერცხლისფრო-მომწვანო მცენარეთა საფარით შემოსილიყო, იგი ისე ეალერსებოდა და ელოლიავებოდა მათ თავისი ტლანჭი, მსხვილი, წითელი, დაკოვრებული თითებით, თითქოს სპილოს მსგავს ცხოველს ეფერებოდა. ცოტა დრო როდი დასჭირდა ჯენს, ამ თითებს რომ მისჩვეოდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, შეძლო ეს, რადგან მისთვის ჯედის ხელები სინაზით გაჭერებულ იყვნენ, ერნესტისა კი-არა, ამიტომაც ისინი ქალს აღარასოდეს შეეხებიათ.

ჯედმა გარს შემოუარა მძვინვარე ხეობის წინ ჩახერგილ კლდის ნაშალს, რომლის წვერზეც ტანდაბალ ბუჩქებს შორის სანაპირო დაცვის შენობა იდგა, თვალი შეავლო მას და შემდეგ შორეულ ჰორიზონტს. სწორედ იმ ნაფეხურების გასწვრივ, სულ რაღაც ერთი საათის წინ ნისლში გახვეულმა რომ გამოიარა, ორ ლოდს შორის გაჩხირული ვერტიკალურად მოტივტივე ხელჯობი შეამჩნია და თვალწინ დაუდგა სანახაობა, რომელმაც თითქოს გონება დაუბნელა: გამოქანდაკებულ, გლუვი მაგიდასავით განფენილ ლოდზე, ლავარდის ფერში გახვეული ცოცხალი ნიჟარები მჭიდროდ რომ მიჰკეროდნენ, ერნესტის დაღწევილი სხეული ესვენა, თავის ქალა გადახსნოდა.

ციციბოს თავზე გუშაგებივით ჩამწკრივებულიყვნენ თეთრი თოლიები, თითქოს ამ სანახაობით შეძრწუნებულნი ნაღვლიანი შეძახილებით გაიჭრნენ და უცნაური რკალი მოხაზეს ცაში.

ჯედმა ნაპრალიდან ვერცხლის-სალტიანი ხელჯობი ამოაძრო, რომელიც ადრეც ენახა ერნესტის ხელში, როცა ის ჯენთან ერთად ქალაქის ქუჩებში სეირნობდა.

ნაკვალევს რომ აუყვა კლდის ქიმზე წამომდგარ სადგომში მყოფი მავველისათვის მომხდარი ამბავის შესატყობად, მიხვდა, თუ რარივ შეიცვალა მისი ცხოვრების მოვლენები იმ დილის ექვსი საათიდან. მას შემდეგ, რაც ნაღვლიანი მიუყვებოდა ნისლს, ბალახს, ნაფეხურებს სანაპიროს გასწვრივ.

ახლა კი შეეძლო ჯენის შერთვა. სინამდვილეში ჯედი ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ როგორ მიიყვანა ერნესტი სიკვდილის კარამდე.



# უხანაულო ქანაუკე

იუმორისტული  
მოთხრობა

— ნიშველეთ! — გაისმა უცბათ სასოწარკვეთილი ყვირილი და ქუჩის ხმაურში ჩაიძირა.

ტროტუარზე მდგარ ახალგაზრდასა და მის ფეხებთან უსიცოცხლოდ დავარდნილ მამაკაცის გარშემო შეგროვებული ხალხი აყაყანდა, ახმაურდა, აღელდა, მაგრამ მილიციის ლეიტენანტის გამოჩენისთანავე გაიფანტა და შორიდან დაუწყო თვალთვალი, თუ რა მოხდებოდა.

ადგილზე მხოლოდ ერთი გამხდარი მოქალაქე დარჩა, რომელმაც არ დააყოვნა ლეიტენანტის ინფორმირება.

— ეს იყო, ეს, — მიუთითა ახალგაზრდაზე, — სადღაც მიათრევედა და თანაც ემუქრებოდა. როდის დარტყა, ან რა დარტყა, მართალი გითხრათ, არ დამინახავს.

ლეიტენანტი ოპერატიულად მოქმედებდა. სულ მალე დაზარალებული სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანეს, ხოლო ათიოდე წუთის შემდეგ დამნაშავე ახალგაზრდა გამომძიებლის წინ იჯდა და ჩვენებას აძლევდა.

ზუსტად დღის ოთხი საათი იყო, როდესაც ჯუმბერმა ვარლამის ბინა იპოვნა და ზარი დარეკა.

კარების საჭკრეტელიდან ვილაცამ გამოიხედა, სტუმარი კარგახანს ათვალეირა და რომ ვერ იცნო, იკითხა:

— რომელი ხარ?..

— ჯუმბერი ვარ, პატივცემულო ვარლამ, ბიძინას ძმისწული!

— ვინ ჯუმბერი?.. რომელი ბიძინასი?!

ჯუმბერი ხუთ წუთზე მეტს უხსნიდა თავის ვინაობას, ანექტური კითხვების პასუხის სახით, ხოლო ვარლამმა ორჯერ მეტი დრო მოანდომა კარების მრავალრიცხოვანი საკეტების გახსნას.

— შემოდი, ბიჭო, შემოდი! ისეთი საიდუმლო საკეტები დააყენებინა ჩემმა მეუღლემ სოფელში წასვლის წინ, ზოგიერთის გაღება მეც მიჭირს

და უცხო რას მოუხერხებს ამას? მაშ, ეს შენა ხარ ბიძინას ძმიშვილი? თბილისში როდის ჩამოხვედი?

— აქა ვსწავლობ, ბატონო ვარლამ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეოთხე კურსზე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ. ბიძინას ძმისშვილი ჩემთან უფრო ადრეც უნდა მოსულიყო, მაგრამ მიპატიებია, ახლა ალბათ გაგიჭირდა რამე, თორემ ისე ხომ არ მომაკითხავდი?!

— თქვენს მტერსა და ორგულს გაუჭირდეს, ბატონო ვარლამ. სწავლით კარგადა ვსწავლობ — სტიპენდიას ვიღებ, სახლიდანაც ცოტას მეხმარებიან და მეტი რა უნდა სტუდენტ კაცს?! ამბავი კი კარგი მოგატანეთ, ბატონო ვარლამ! ბიძინამ დამაბარა, მალე ორმოცი წელი სრულდება, რაც შეიძლედი დავამთავრეთ და ჩვენი ჯგუფელები სოფელში ვიკრიბებითო. მოსაწვევ ბართებს მოგვიანებით დააგზავნიან, ხოლო ახლა წინასწარ ატყობინებენ ყველას, მზად რომ იყვენ და სხვა საქმეები გვერდზე გადასდონ.

— ეს ისეთი ამბავი შემატყობინე, ნამდვილად აღნიშნის ღირსია. შენ დაჯექი და დაისვენე, მე კი ერთი წუთით დაგტოვებ.

მალე მაგიდაზე კონიაკი და ტკბილეულობით სავსე ლანგარი გაჩნდა.

— კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს ოჯახში, — ვარლამმა სავსე ჭიქა ასწია, — როგორც იტყვიან, ფეხი შენი, კვალი ანგელოზისაო.

ჯუმბერმა ჭიქიდან ოდნავ მოსვა და ბოდიში მოიხადა.

— ბატონო ვარლამ, მაპატიეთ, მაგრამ კონიაკს კი არა, ღვინოსაც არა ვსვამ... — ჰაიტ, არ გამაგონო! ბიძინას ძმისშვილი, ბაბუაშენის შვილიშვალი და ღვინოს არა სვამ? ბაბუაშენი ხომ სახელგანთქმული თამადა იყო რაიონის მასშტაბით?!

— არ შეიძლება ჩემი სმა, — არ ნებდებოდა ჯუმბერი. — მალე ვთვრები და თანაც...

— რაა თანაც?  
— მანქანა მყავს ქუჩაში დატოვებული. ბატონო ვარლამ.

— დატოვებდი. აბა. ამ სიმძლევზე ხომ არ ამოიყვანდი?! თანაც ერთი შენიშვნა! — ბატონო, სხვებმა დამიძახონ. შენ კი. მოდი, შინაურულად ბიძია ვარლამი დამიძახე!

— კარგით. ბიძია ვარლამ...

— აბა ახლა ჩვენი მშობლების სადღეგრძელო შევსვათ! არა ბიძიკო. არა. უარი არ გამაგონო!

— ბიძია ვარლამ, მანქანით უნდა წავიდე გორში და დღესვე დავბრუნდე უკან...

— მოასწრებ, მოასწრებ. სამ საათში ჩახვალ და ამოხვალ კიდეც. ბიჭო, ჩემს მშობლებს თუ არა სცემ პატივს, შენი მაინც დააფასე.

როდესაც ვარლამმა ჭიქა მეშვიდედ ასწია, ჯუმბერი კვლავ გაჩუბდა.

— აღარ შემიძლია ბიძია ვარლამ. კუჭის წყლული მაქვს.

— კონიაკი მაგის წამალი. უზმონზე ერთი ღვინის ჭიქა და ზედ თაფლგარეული კარაქი.

მაშინ ჯუმბერმა უკანასკნელი ხერხი იხმარა.

— მე უკვე მთვრალი ვარ, — წამოდგა და შებარბაცდა. — ბიძია ვარლამ, კუჭი ვახსენე და კუჭია მომაგონდა. ხომ გახსოვთ კუჭია, თქვენი მეზობლის ბესარიონის ბიჭი? გამოიბრუჟა არყით და სოფლის ქუჩებში დაიწყო „ვოლგით“ ჯირითი. მერე საჭე აერია, დაეჯახა ბეტონის კედელს და ერთი თვეა საავადმყოფოში წევს. არ მინდა საავადმყოფოში! არც გაზეთში ან ტელევიზორში მინდა მოვხვდე საგზაო ავარიების ქრონიკაში! მეტი აღარ შემიძლია და მივიღვიარ! მე წავედი, ბიძია ვარლამ! — ჯუმბერი ფეხარევით გარდერობისაკენ გაემართა, კარებს ხელი წაავლო და ჯაჭვური დაუწყო.

ვარლამს ჯერ გაეცინა, შემდეგ კი სტუმარს ხელი შეაშველა და კარებისაკენ წაიყვანა.

— მოიცადე ერთ წუთს, სანამ კარებს დავეკეტავ, — შეაჩერა ის, როდესაც კიბის მოედანზე გავიდნენ, — როგორ თუ არ გინდა გაცილება? კიბეზე რომ დაგორდე, ან ლიფტში აგიტყდეს რამე, ხომ მე დამბრალდება — კაცი გამოათრო და ყურადღება აღარ მიაქციაო?! ეეხ, კარგად უნდა გაგეფრთხილებინე, რომ დაღვევ არ შეგეძლო! ჩაგსვამ თუ არა მანქანაში, პირდაპირ სახლისაკენ წადი და გამოიძინე.





# კანონიერება

## უღალთმიანთა პროკლეზები

კალიფორნიელმა სტივენ ღუგლანმა ჩამოაყალიბა საერთაშორისო კავშირი, რომელიც თავგამოდებით იცავს უღალთმიანთა უფლებებს. თანამედროვე მონაცემების მიხედვით ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს 12 მილიონი უღალთმიანი, რომელთაც უზღუდებულყოფენ როგორც სასოგადოებრივ, ასევე კულტურულ ცხოვრებაში: არ აძლევენ როლებს ფილმებში, არ გამოაყავთ ტელევიზიით, ამასთან აღსანიშნავია, რომ უღალთმიანნი იყვნენ ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიცაა გრენლანდიის აღმომჩენი ვიკინგ ერიკი, რომის იმპერატორი ფრიდრიხ ბარბაროსი, ვილჰელმ დამპყრობი, ქრისტეფორე კოლუმბი, ვინსენტ ვან გოგი, ანტონიო ვივალდი, სარა ბერნარდი, ლეონარდო და ვინჩი და მრავალი სხვა.

როგორც ორგანიზაციის ყურნალი „უღალთმიანნი“ აღნიშნავს, უღალთმიანები შეადგენენ ამერიკის მოსახლეობის 8 პროცენტს, აქედან ერთი პროცენტი დაპატიმრებულია.

## ორსახოვანი მანქანი

ბენგალური ვეფხვი, რომელსაც სრული განადგურება ემუქრებოდა, დიდი ხნით იყო ადგილობრივი მოსახლეობის ურადღებობისა და წრუნვის ქვეშ. მიღებულია ზომები შედეგი გამოიღოს: მარტო ბენგალის ერთ-ერთი რაიონის ტყეში აღრიცხულია 300 ვეფხვი.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ უმადურმა ქმნილებამ არავითარი მადლიერება არ გამოხატა თავისი გადამარჩენელის მიმართ და ხელი მიჰყო კაცობრივობას. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ურველწლიურად მტაცებელი 20-30 ადგილობრივ მცხოვრებს ანადგურებს.

რადგანაც მტაცებელი თავის მსხვერპლს წურგიდან ესხმის თავს, ადგილობრივი მცხოვრებლები ეკვაზე იცვამენ ადამიანური გამოხა-

ბულების შქონე რეზინის ნიღაბს. ახლა მტაცებელი თავს იბტრეკვს იმაზე, თუ რომელი მიმართულებით მოდის ვახშამი.

## ველოსიპედი მომცრო მაგილით

ამერიკელმა ველოსიპედების ფაბრიკანტმა მანდილოსნებს შესთავაზა ისეთი კომფორტაბელური ველოსიპედი, რომელიც დიდ სიამოვნებას მინიჭებს მათ. ველოსიპედის საკეტე მან დაამონტაჟა მომცრო მაგიდა, რომელსაც აქვს პატარა უკრა და მასში მოთავსებულია მაკრატელი, წარბების ამოხაჭენი პინცეტი, პულერი, შესალამაწებელი ხარკი, საერთოდ, უველა ის აუცილებელი ატრიბუტი, რომელიც თან ახლავს კოსმეტიკას. ასე რომ, ველოსიპედისტ ქალს ნებისმიერ დროს შეუძლია თავის წესრიგში მოყვანა.

## თუთიყუპი სიგნალის მაგივრად

ნიუ-იორკში არც ისე იშვიათია ველოსიპედისტი, რომელიც თუთიყუპის წყალობით იცილებს თავიდან მოსალოდნელ საფრთხეს: იგი მშვიდად ზის საკეტე, რომელზეც ზონარით არის მიბმული და მოსალოდნელი დაქაბების შემთხვევაში ეს ჭკვიანი ფრინველი მთელი ძალით ჰყვირებს: „შენ ეი, ფრთხილად!“ იგი ფაქტურად სიგნალის მაგივრად გამოიყენება. ამის გამო მასიურად უიღულობენ მან და ამ ფრინველის ფასი დღით დღე მატულობს.

## უცნაური დამხმარე

საველოსიპედო სპორტი თანდათან ვითარდება ეგვიპტეშიც, განსაკუთრებით კაიროში. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ქალაქში ძალზე ბევრი ძალღია არაკეთილად განწყობილი ველოსიპედისტების მიმართ. და აი, ამ ბოლო დროს მეტად ორიგინალურ მეთოდს იყენებენ მათ წინააღმდეგ.

ველოსიპედის წინ ან გვერდით შირბის დაქირავებული კაცი ქობით ხელში და იგერიებს ძალღს. ქალაქიდან გასვლისას კი ველოსიპედისტები მარტონი აგრძელებენ გზას. ქალაქში უკან დაბრუნების შესახებ უფროსად ელოდებით იგივე კაცი, რომელიც ჩვეულებრივად აგრძელებს თავის საქმიანობას.

ჭუმბერი ჭერ რალაც უცნაურად უყურებდა და იღრმებოდა. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ხელი მხარზე მოხვია და იქვე კუთხეში გაჩერებულ მანქანისკენ წაიყვანა.

— რა ყურადღებიანი ადამიანი ხარო, ბიძია ვარლამ. ნამდვილად კაცური კაცი! რომ არ მეჩქარებოდეს, მეორე ბოთლსაც ხომ გამოვავრობდი. მოდი ახლა გორში წაჭიდეთ მანქანით. მართალია მთვრალი კი ვარ, მაგრამ იმდენი ჭკუა მაინც შემარჩა, ფრთხილად ვიარო. ვარლამ ბიძია, ხომ შეიძლება გზაში ჩამეძინოს, ან სიჩქარეს გადავაჭარბო და ხიფათს გადავეკიდო. თქვენ ხომ ჩემი ბიძია ხართ, თან უნდა წამომყვეთ. ისე ვატარებ მანქანას, როგორც თქვენ მეტყვით. პაიტ, უარი არ გამაგონოთ...

ვარლამი უცბად მიხვდა, რა ხიფათში იგდებდა თავს და გაფითრდა. ჭერ რალაც მოიმიზეზა. შემდეგ სადარბაზოსკენ გაქცევა და თავის დაძვრენა მოინდომა, მაგრამ ჭუმბერმა ხელი დროზე სტაცა და მანქანისაკენ ძალით წაიყვანა.

— როცა სასმელს მაძალებდა, ვაყვაცობაზე თავსა სდებდა და იმას კი არ უკვირდებოდა. საითკენ მიბიძგებდა თავისდაუნებურად. კიბეზე რომ ჩამოვდიოდით და დიდის ამბით მიფრთხილდებოდა, რამე არ მოუვიდეს და მე არ დამაბრალონო, მართალი გითხრათ, მეწყინა. მეწყინა იმიტომ, რომ მე კი არ მიფრთხილდებოდა, ჩემს სახელს არაფერი მოეცხოსო, იმას ფიქრობდა. შეშინებულია გორში წამოსვლაზე უარი მტკიცა, მაშინ კი ცოტა გაგვრახდი და ვაგრძნობინე, რომ არა ვხუმრობდი. რა ვიცოდი, თუ ასე მალე გაფუჭდებოდა?! ერთი იღრმიალა „მიშველეთო“ და გულწასული დაეცა. დანახრენი თქვენ უკვე იცით.

გამომძიებელმა ოქმის წერა დაამთავრა და ტელეფონით დარეკა სადღაც. შემდეგ დამნაშავეს მიუბრუნდა: — თქვენი ბედი, რომ გადარჩა, ექიმების ვარაუდით მიკროინფარქტი აქვს. მე მას, რა თქმა უნდა, მაშინ დავეკითხე, როცა გამომჩობინდება, ხოლო თქვენ, ახალგაზრდავ, დრო-

ებით უნდა დაემშვიდობოთ თქვენს ავტომანქანას. გთხოვთ, ჩამაბაროთ მართვის უფლება.

— ბოდიშ ვიხდი, მაგრამ მართვის უფლება მე არა მაქვს.

— როგორ?! მართვის უფლების გარეშე ატარებთ მანქანას?..

— რას ვატარებ, როცა არც მანქანა მაქვს და არც ველოსიპედი.

— ??!..

— სასმელისაგან რომ თავი ამერიდებინა, იმიტომ მოვიგონე მანქანის ამბავი. ვისი მანქანისაკენ მთვართვდი? რა ვიცი, ვისი იყო?! რამდენიც გნებავთ, იმდენს ნახავთ ქუჩაში გაჩერებულ მანქანას.

— მერე-და, ვთქვით დათანხმებულიყო და წამოგყოლოდა თან, მაშინ რალაც იქნამდი?

— რას ვიზამდი და მთელ ქალაქს შემოვატარებდი ფეხით, იმ ჩემი მანქანის ძებნაში. მე ხომ „მთვრალი“ ვიყავი და მთვრალ კაცს რა მოეთხოვება? რომ დაიღლებოდა, არ დამანებებდა თავს?!



# პოლიტიკური ანეკდოტი

# პანორამა

ორი ენამორალური სახიფათო დიალოგი:

- რა განსხვავებაა ჩეკასა და ცეკას შორის?
- დიდი არაფერი. ჩეკა — ჩენტრალური კომიტეტი. ცეკა კი — ცაგანგებო კომისია.

მოჩვენებითი რეალობა:

- ტროცკი და ლენინი რაღაც ჩასუქებულები ჩანან.
- გეჩვენება. ლოყები აქვთ გაბერილი.
- რატომ?
- უბერავენ და მთელი ძალით აღვივებენ მსოფლიო რევოლუციის ხანძარს.

საბჭოური ნათლობა:

— რუსეთის ყოფილ იმპერიას რსფსრ დაარქვეს იმის გამო, რომ ერთნაირად წაეკითხათ ლენინს (მარცხნიდან მარჯვნივ) და ტროცკის კი პირიქით (მარჯვნიდან მარცხნივ).

ემიგრანტის აღსარება:

— ბოლშევიკებთან მე მხოლოდ ერთადერთი უთანხმოება მაქვს. მიწასთან დამოკიდებულების საკითხში. მათ უნდოდათ, რომ მე მიწაში ვყოფილიყავი. მე კი მინდა, რომ ისინი მიწაზე არ დადიოდნენ.

სიბრძნე სიცრუისა:

- ვინმე ტროცკი „გეპუტ“-ში გამოიძახეს.
- ლეე ტროცკი თქვენი ნათესავია?
- რას ამბობთ. იგი ჩემი მოგვარეც კი არ არის.

დაპითხვა-განსაზრება:

- რას აკეთებდით 1917 წლამდე?
- ვიჭეკი და ველოდი.
- მერე, ჩვიდმეტი წლის შემდეგ?
- მოვესწარი და ჩაეჭეკი.

ცხოვრებისეული ანალოგი:

- ოხ, აღარ შემძილა! ცხოვრება კი არა, ნამდვილი „ბარდაკია“!
- რას ამბობ, კაცო! ასეთი დაწესებულება რევოლუციამდე ჩემს სიამარს ჰქონდა, მაგრამ განა იგი თუნდაც ერთ დღეს მაინც მოითმენდა ისეთ უწყესრიგობას, რომელიც ახლა აქვთ მაგათ?

## დასჯილი ბატონი

ნიკოლოზ I-ის მეფობის პერიოდში ერთი მხხვილი მემამულე, რომელსაც კამერბერის წოდება ჰქონდა, ისე აბუჩად იადებდა თავის ყმებს, რომ ამ უკანასკნელთა მოთმინების ფიალა აივსო და გადაწყვიტეს ჰკუა ესწავლებინათ ურჩი ბატონისათვის.

ერთხელაც ღამით ისინი შეიკრნენ ბატონის საძინებელ ოთახში, გააკრეს და შკაცრად გაწყებლეს. ბოლო შემდეგ ჩამოართვეს ბარათი. რომელშიც ბატონი ფიცს დებდა იმის თაობაზე, რომ მსგავსად აღარ მოექცეოდა თავის ყმებს.

ეს შემთხვევა მანამ დარჩა ყველასათვის უცნობი, სანამ თვით ბატონმა არ გადაწყვიტა. შური ეძია თავის მთავარ მტერზე, ახალგაზრდა შინაყმაზე, რომელიც ძალით გაგზავნა სამხედრო სამსახურში. ახალწვეულმა კომისიას უამბო ბატონთან მომხდარი ინციდენტი შესახებ და წარუდგინა მისი ბარათი.

ფაქტი იმის შესახებ, თუ როგორ ასწავლეს შინაყმებმა ჰკუა კამერბერს, ცნობილი გახდა როგორც საზოგადოებისათვის, ასევე ნიკოლოზ I-ისთვის. ამის გამო ბევრმა ცნობილმა ოჯახმა შეწყვიტა კამერბერთან ყოველგვარი ურთიერთობა. სამსახურშიც ბევრ დაცივნას და შეურაცხყოფას იტანდა ბატონი. საბოლოოდ სამსახურიდანაც დაითხოვეს. ნიკოლოზ I-მა კი უბრძანა დაეტოვებინა რუსეთი და საზღვარგარეთ წახულიყო. სამშობლოში მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური ბრძანებით შეეძლო დაბრუნება.

მაგრამ საზღვარგარეთაც ამ ფაქტის გამო მოხვედრა არ ჰქონდა კამერბერს. ერთხელ შვეიცარიაში, როცა სასტუმროში მომსვლელთა ხიაში ეწერებოდა, მის შემდეგ მდგარმა რუსმა მოგზაურმა მას საკვეყნოდ დასჯილი ბატონი უწოდა.

## საშინელი გინება

ცნობილი ინგლისელი ლექსიკოლოგი სემუელ ჯონსონი ერთხელ ლონდონის ბაზარზე გამოედგა ლვეწილით მოვაკრე დედაკაცს, რომელიც წონაში ატყუებდა. დედაკაცმა უწმინდური სიტყვებით გაათხოხა სწავლული. ჯონსონმა შესაფერისი პასუხის გასაცემად ვერაფერი გაიხსენა და თავისებურად გაუმასპინძლდა მტროქებს: ჰაიტ, შე არსებითო სახელიო, შე წმინაწედავ, შე ზედსართავო, შე კვემდეხარეც, შე შორისდებულო, შე მიცემითო, შე სქესო, და ბოლოს, შე ბრძანებითო კილოო.

თავზარდაცემულ დედაკაცს შიშით ენა ჩაუვარდა და ძლივს ამოღერდა, ეს ვინ ოხერია, ამისთანა საშინელი გინება ჩემს დღეში არ მხმენიაო.

## წიგნიერი კაცი

ერთ ხანშიშესულ, დროსტარებისა და, ამავე დროს, წიგნის მოყვარულ კაცს სასამართლოში ამოაყოფინეს თავი.

— თქვენ ბრალად გედებათ ის, რომ დათვრით და უწყესოდ მოიქვეით საზოგადოებაშიო, — უთხრა მოსამართლემ. — გაქვთ რაიმე სათქმელი თავის დასაცავად?


— კაცთა უღმობილება მოყვასთაში უსაზომო ვაებას თავს ატებს ადამის მოდგმას, — მოჰყვა ენაშუობას ბრალდებულის. — მე არც ისე გავთახსირებულვარ, ვით ედგარ პო, არც ბაირონივით გადავშვებულვარ გარყვნილების მორევში, არც ჯონ კიტსისნაირი უმადურობა გამომიჩენია ოდესმე, არც რო-

ბერტ ბერნსივით ამიწყვეტია ლაგამი, არც ალფრედ ტენისონისებური უნიათობა მჭირებია ჰიარად და არც ისეთი ვულგარული ვყოფილვარ, ვითარცა უილიამ შექსპირი, რამეთუ...

— საქმარისია. — შეაწყვეტინა მოსამართლემ. — შვიდი დღე სასამართლოში. — მერე იქვე მდგომ სასამართლოს ბოქაულს მიუბრუნდა:

— ჩაიწერეთ, გეთყავა, ყველას სახელი და გვარი, ვინც ამან ახსენა, და აქ მომგვარეთ სასწრაფოდ. როგორც ვატყობ, ამაზე უკეთესნი არც ისინი უნდა იყვნენ.





- თარგუმად: 7. ჰონორარი; 8. პირამიდა; 9. კონსოლიდაცია; 11. სცენა; 12. იპრიტი; 15. დუნაი; 18. ახტრა; 19. ტრუსი; 20. ნორვეგია; 21. კიტი; 22. მხაჯი; 24. ცარცი; 25. ბილბო; 27. თოლია; 28. ავანტიურში; 31. ატლეთიკა; 32. გლედიჩია.
- შვეულად: 1. კორუფცია; 2. ორმო; 8. ტრესტი; 4. ფინალი; 5. ქარი; 6. ადამიანი; 9. კონსტიტუცია; 10. აკუმულატორი; 13. პატრული; 14. ტურბაზა; 16. დანია; 17. ატამი; 21. კლარნეტი; 23. ირიგაცია; 25. ბანაჯი; 26. ორიოლი; 29. ვატი; 30. მოდა.

# კროსვორდი

თარგუმად: 2. სიმებიანი მუსიკალური საკრავი; 4. პროვინცია საფრანგეთში; 5. წაკეთილი კონუსის ფორმის ფუნჯიანი ქუდი, გავრცელებულია მუსლიმანურ ქვეყნებში; 7. ხუროთმოძღვრული ძეგლი საქართველოში; 8. სამკურნალო მცენარე; 10. ინდიელი მამაკაცისა და ზანგი ქალის ნაშიერი; 14. სატრფიალო-სატირული პოეტური კრებულები ესპანეთსა და პორტუგალიაში; 16. სხვადასხვა ფორმის ვიწროყელიანი მინის კურკელი; 17. ქალაქი დიდ ზრიტანეთში; 22. მდინარე კონგოს აუზში მოხინაღრე უძრავის ოჯახის იშვიათი ცხოველი; 28. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული მექსიკური მცენარე, აქვს გრძელი ბორცოვანი ფოთლები და მრავალუჯავილოვანი მტევანი; 24. კურკელის ბაკანი სხეულის დასახანად; 25. ძველკავადერიის ქვეითი ჯარის მოსაგერიებლად კვადრატის ან სწორკუთხასხის საბრძოლო წყობა; 28. კემშარიტია, კემშარიტად; 27. ძველებური ფრანგული საფერხულო ცეკვა; 29. პურის ხალეწი ხელსაწყო ძველ საქართველოში; 31. სატივროთ გემი, ბუქსირით მოძრაობს; 34. ცხოველური ან მცენარეული ორგანიზმის უჭრედთა და ქსოვილთა უნარი მთავრად საღებავების სამოქმედოდ; 35. მიწისქვეშა არხი, მილი, დაქობებული ნიადაგის ამოსაშრობად; 38. ტელესკოპის ზედაპირზე ვიზიოლური დაკვირვებისათვის; 39. უმცროსი მა-

ტროსი; 40. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 42. კომედიური ხასიათის მუსიკალური სცენური ნაწარმოები; 43. ასოსახებელი ტელეგრაფის აპარატი, ერთი სადენით ერთდროულად გადასცემს რამდენიმე დეპეშას ორივე მიმართულებით; 44. ძალის ერთეული ზომით: აბსოლუტურ სისტემაში; 46. სალოცავი, ღვთის საიდებელი შემახილი იუდეველთა და ქრისტიანთა მღვდელთმსახურებაში.

შვეულად: 1. მსოფლმხედველობის ძირითადი არსებითი პრინციპი; 2. ქალაქი გერმანიაში; 8. რელიგიური მიმდინარეობა საფრანგეთსა და ჰოლანდიაში XVII-XVIII საუკუნეებში; 8. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი; 8. საფოსტო სატელეგრაფო ხარჯები, კლიენტმა უნდა გადაიხადოს; 9. ქიმიური ელემენტი, უფერული გაზი, არ აქვს სუნი და ხელს არ უწყობს წვას; 10. წვრილი, უკურკო ქიშკიში; 11. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 12. პერსონაჟი გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯიდან“; 13. ქალაქი ყაზახეთში, უარაგანდის ოლქში; 15. მატყლის შემცველი ხელოვნური ბოჭკო; 18. ქალაქის ელექტრონული რკინიგზა; 19. ნივთიერება, გამოყოფს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს; 20. იუდაიზმის უზენაესი ღვთაება; 21. კათოლიკე, მღვდელი; 23. ორნახშირმუცა ნატრიუმი, იყენებენ მედიცინასა და კულინარიაში; 29. სახელგანთქმული კურორტი საბჭოთა კავშირში; 30. გადასატანი საცხოვრებელი ქეჩის კარავი შუა აზიაში; 31. ყაჩაღების, მკვლელების ჯგუფი; 32. სიბრძნის, ხელოვნებისა და ომის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 33. ბრინჯის არაყი, ამწადებენ იაპონიაში; 37. დრუ ორგანიზმების გამოკვლევა ოპტიკური ხელსაწყოებით, მკურნალობის მეთოდი; 38. კუდიანი წყალხმელთა ცხოველი, გარეგნულად ხვლიკს წააგავს; 41. თხრილი; 45. ნედლეული, გამოიყენება მინის წარმოებაში.

შეადგინა ვინა ჭაბუკაძემ.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს დამსახურებული არტისტი მთარგმნელი, ფოტო იური რიდალოვისა. მეოთხეზე: მშპპილი თოვლაშვილი. ფოტო ბონდო დაღვაძისა.

გადაეცა წარმოებას 1.03.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.04.91. ქალაქის ზომა 60x90/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-სამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 30 000. შეკვეთა 466. ფასი 70 კაპ.




საქართველოს ურუნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костая, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:

- 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.  
 ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგებების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოს — 99-01-89.  
 რედაქციაში შემოსული მანალა ავტორს არ უბრუნდება.





# სსოპნა

## გიგლა ფირცხალავა

- — მგონი სოხუმში ვართ
- — მგონი აქ ახლოს „პლიაუი“ უნდა იყოს.
  
- — რომელმა თქვენგანმა დამადგით რკება.
  
- — რამდენჯერ გითხარი, მშობელი არ მომიყვანო-მეთქი.
  
- — სჯობს ისევ შენ იარო ბაზარში.





